საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 204 (483) ოთხშაბათი, 7 ოქტომბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

11 ოქტომბერს
საქართველოში
არჩევნებია

არჩევნებამდე, რომელიც საქართველოს ბედს გადაწყვეტს, 4 დღე რჩება

წუხელ შევიტყვეთ

თუ ერთსულოვნად ვიქნებით

— ვითარება აფხაზეთში მეტად რთული და დაძაბულია, — განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს რწმუნებულმა აფხაზეთში გიორგი ხაინდრავამ, — ყოველდღიურად იღუპებიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი ჩვენი ახალგაზრდები, ფაქტობრივად დღეისათვის ბრძოლა გვიხდება რუსეთის სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ, ეს უკვე ეჭვს არ იწვევს. გარდა აფხაზებისა და ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაციის სამხედრო ნაწილებისა, ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობენ რუსი მედესანტეები. ამის დამადასტურებელი ფაქტები მრავალია, და ამ მხრივ მკითხველები უკვე ინფორმირებულნი არიან.

6 ოქტომბერს, გვიან ღამით, ჩვენი სამხედრო ნაწილები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ დაბა ლესელიძე. ამ დროისათვის ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი გაყვანილი იყო სოჭის მხარეზე, გია ყარყარაშვილის ჯგუფი კი 800 კაცის შემადგენლობით ტყეში გავიდა.

სოხუმში გადმოსროლილია დამატებითი რეზერვები, მოდის სამხედრო ტექნიკა. მიმდინარეობს ძალების სრული მობილიზაცია, თავმოყრილია სათანადო ძალები და ვღებულობთ საჭირო ზომებს, რათა სოხუმი საიმედოდ იყოს გამაგრებული.

ცნობილია, რომ საქართველოს ისტორიულად უფრო მძიმე დღეებიც ჰქონია. ჩვენ იმდენი ძალა უნდა მოვიკრიბოთ, რომ დავიცვათ სამშობლოს ტერიტორია.

სამხედრო ძალები, რომლებიც სოხუმში დგანან, ძირითადად კმარა მტრის მოსაგერიებლად.

მიუხედავად ამისა, დამატებითი ძალები მოდის დილიდანვე. სოხუმში ჩამოვიდა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა იოსელიანი.

ვითარება, როგორც აღვნიშნეთ, ძალზე რთულია, მაგრამ არა საგანგაშო. მივმართავ მთელი საქართველოს მოსახლეობას: დავდგეთ ერთმანეთის გვერდით და დავამარცხოთ ჩვენს წინააღმდეგ დარაზმული ყველა ჯურის სეპარატისტები და დამპყრობლები! აქვე დავსძენ, რომ ჩვენს სამხედრო ნაწილებში შემართებული საომარი განწყობილებაა — გვითხრა დასასრულ გ. ხაინდრავამ.

იოსებ გოგეჩია.

დიდი წინაპარი შეგვაგონებს:

საქართველოს დღეს გარდაუწყდება თავისი ბედი და უბედობა! დღეს გამოჩნდება, ვინ არს მართალი, ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!

ნიკოლოზ ბარათაშვილი.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

საქართველოს პარლამენტის არჩევნები უთუოდ უნდა გაიმართოს

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს 5 ოქტომბრის სხდომაზე მისმა თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის შესახებ გაკეთებულ ინფორმაციაში გააანალიზა ქალაქ გაგრის ზონაში მკვეთრად გამწვავებული სიტუაციის მიზეზები, სადაც აფხაზმა სეპარატისტებმა ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილ დაქირავებულ ტერორისტებთან ერთად, მუხანათურად დაარღვიეს რა მიღწეული შეთანხმება, ფართო მასშტაბის შეტევა გააჩაღეს ამ ქალაქზე და ხელთ იგდეს იგი, რამაც შეიწირა მრავალი ადამიანის სიცოცხლე, მათ შორის — მშვიდობიანი მცხოვრებლებისაც. მან აღნიშნა, რომ მოლაპარაკების დროს მოდუნებული იყო სიფხიზლე, რადგან საქართველოს მხარე სავსებით ლოგიკურად ფიქრობდა, რომ მოლაპარაკების მონაწილე მეორე მხარე პატივს სცემს მიღწეულ მორიგებებს. მეორე მხრივ, თავი იჩინა იმან, რომ არ გვყავს ერთიანი ხელმძღვანელობა აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. ყოველივე ის, რაც მოხდა გაგრაში, უნდა იყოს მწარე გაკვეთილი, რომლიდანაც უნდა გამოვიტანოთ საჭირო დასკვნები, აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ. სახელმწიფო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შექმნას სოხუმში ავტონომიურ რესპუბლიკაში მყოფი ჯარების ჯგუფის მთავარი შტაბი. მის უფროსად დანიშნულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ავთანდილ ცქიტიშვილი. გაგრა-ლესელიძის უბანში თავმოყრილი ჯარების სარდლად დანიშნულია ბრიგადის გენერალი გიორგი ყარყარაშვილი.

სხდომაზე ითქვა, რომ რეგიონში გრძელდება დაძაბულობის ესკალაცია. 5 ოქტომბერს რუსეთის საჰაერო თავდაცვის ძალებმა ზღვაზე ჩამოაგდეს იმ სამ ვერტმფრენთაგან ერთ-ერთი, სოხუმიდან რომ მიემართებოდნენ გაგრაში დაჭრილების გადმოსაყვანად და იქ მტრის გარემოცვაში მოხვედრილი მეომართა ჯგუფის დასახმარებლად, რომლებსაც ქალაქ გაგრის კომენდანტი ბადრი ფირცხელიანი მეთაურობს. ვერტმფრენს შეუტია სუ-27 თვითმფრინავმა, რომელიც ჰაერში აიჭრა გუდაუთის სამხედრო აეროდრომიდან. ამ ფაქტთან დაკავშირებით, სხდომის დაწყებამდე საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ესაუბრა ამიერკავკასიის სამხედრო და სასაზღვრო ოლქების სარდლობას, რომლებსაც, როგორც მათ განაცხადეს, აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჰაერო თავდაცვის ძალები არ ემორჩილებიან.

აფხაზეთში მოვლენების განვითარების გაანალიზებისას, სახელმწიფო საბჭომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოს ჯარები ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიყვანეს მხოლოდ ერთი მიზნით — ლესელიძიდან დაწყებული, დაეწესებინათ კონტროლი და უზრუნველეყოთ რკინიგზის ნორმალური მოქმედება, რომელსაც საარსებო მნიშვნელობა აქვს როგორც საქართველოს, ისე მეზობელი სომხეთისთვის. და ამის თაობაზეც მიღწეული იყო შესაბამისი მორიგება პირადად აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან ვლადისლავ არძინბასთან. მაგრამ საქართველოს ჯარებს მოულოდნელად გაუხსნეს ცეცხლი...

შესვენების შემდეგ, რომელიც ოცი წუთის ნაცვლად საათ-ნახევარს გრძელდებოდა, ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ მკვეთრად გამწვავდა ვითარება განთიადსა და ლესელიძეში. მან თქვა, რომ საქართველოს ჯარებს მოუწიათ დაეტოვებინათ პოზიციები მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების შემოტევათა შედეგად. როგორც გაირკვა, საომარ მოქმედებაში, ჩრდილოკავკასიელ დაქირავებულებთან ერთად მონაწილეობს რუსი ეროვნების მრავალი ექსტრემისტი, რომლებსაც მედესანტეთა კარგი სკოლა აქვთ გავლილი. ამრიგად, აშკარაა რუსეთის რეაქციული ძალების როლი აფხაზეთში კონფლიქტის გამწვავების საქმეში. საქართველოს სარდლობამ მოითხოვა დამატებითი ძალები, რადგან სულ უფრო ჭირს მოწინააღმდეგის მოიერიშე ძალებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. სხდომაზე აღინიშნა, რომ საჭიროა განხორციელდეს სასწრაფო ღონისძიებები სოხუმის დასაცავადაც.

სახელმწიფო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას თავდაცვის სახელმწიფო საბჭო და დაევალა პრეზიდიუმს განსაზღვროს მისი შემადგენლობა.

და მაინც, ყოველივე ამის მიუხედავად, აღინიშნა სხდომაზე, საქართველოს პარლამენტის მომავალი არჩევნები უთუოდ უნდა გაიმართოს. ახლა, მეტად ვიდრე ოდესმე, გვჭირდება საქართველოს მთელი ძალების გაერთიანება და დარაზმვა, რომლის ტერიტორიულ მთლიანობასაც სერიოზული საფრთხე დაემუქრა...

ედუარდ ედიბერიძე,
თენგიზ გრიგალაშვილი.

ედუარდ შევარდნაძის პრესკონფერენცია

6 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ გამართა პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომელიც მიეძღვნა აფხაზეთში მომხდარ უკანასკნელ მოვლენებს. ამ მოვლენების გაანალიზებისას, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ყოველივე ეს უქმნის საფრთხეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. აფხაზ სეპარატისტთა მიზანია ჩამოაშოროს აფხაზეთი საქართველოს და შეუერთონ იგი მეორე სახელმწიფოს. ქართველი ხალხი არასდროს არ შეურიგდება ამას, რადგან აფხაზეთი საქართველოს მკვიდრი ტერიტორიაა და მისი მოსახლეობის ნახევარს ქართველები შეადგენენ. ამავე დროს, სეპარატისტებს აქვთ დიდი მხარდაჭერა არა მარტო კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის სახით, რომელიც ტერორისტული ორგანიზაციაა, არამედ იმ რეაქციული ძალების მხრიდანაც, საკმაოდ დიდი გავლენა რომ აქვთ რუსეთის პარლამენტში. ყველა ამ ძალამ დაიწყო მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, თქვა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, რომ სეპარატიზმის ახალი აფეთქება გამოიწვიეს რუსეთის პარლამენტის ამ ცოტა ხნის წინათ გაკეთებულმა განცხადებამ და მის მიერ მიღებულმა დადგენილებამ, რომლებსაც აშკარად ანტიქართული ხასიათი აქვთ. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ 3 სექტემბრის მოსკოვის შეხვედრის საბოლოო დოკუმენტი არა თუ არ შესრულდა, არამედ იგი სეპარატისტებმა და ექსტრემისტებმა გამოიყენეს საქართველოს წინააღმდეგ, რადგან ამ დოკუმენტის ფარგლებში საქართველომ ერთისამად შეამცირა თავისი სამხედრო პოტენციალი აფხაზეთში, აფხაზეთის მხარე კი ზრდიდა თავის ძალებს ჩრდილოეთ კავკასიიდან დაქირავებულთა მოზიდვის გზით. ვერ გაართვა თავი თავის ამოცანას აფხაზეთში კონტროლისა და ინსპექციის კომისიამაც. აფხაზეთის მხარეს არ შეუსრულებია მისი არცერთი გადაწყვეტილება, პირიქით, მას გადაეცა უახლესი ტ-72 და ტ-80 ტიპის ტანკები, საჰაერო საზენიტო კომპლექსები, რომლებიც საერთოდ არა აქვთ შეიარაღებაში საქართველოს ჯარებს. ამავე დროს, გენერლებმა — რუსეთის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა, რომლებიც გუდაუთაში მოკალათებულან, ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ დაემყარებინათ რუსეთის ჯარების მონოპოლია საჰაერო სივრცეში. უფრო მეტიც, როგორც ცნობილი გახდა, სწორედ ეს გენერლები იყვნენ აფხაზეთის მხარის მთავარი მრჩევლები. ყოველივე ამას უმძიმესი შედეგები მოჰყვა: ათობით მოკლულის, ასობით დაჭრილის გამოყვანა ვერ მოხერხდა, სამხედრო ოპერაციები ვერ იქნა უზრუნველყოფილი სათანადო დონეზე. აშკარაა, რომ ამ ალიანსის ერთ-ერთი მიზანია ჩაშალონ საქართველოს პარლამენტის არჩევნები, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, მტკიცედ მწამს, რომ არჩევნები უთუოდ გაიმართება.

შეეხო რა შეთქმულებას საქართველოს წინააღმდეგ, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ზემოთქმული არ ეხება რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს. ამავე დროს, თქვა მან, არ შემიძლია არ გამოვთქვა ერთი შენიშვნა მისი დღევანდელი განცხადების გამო, რომელშიც ნათქვამია, რომ იგი არ დაუშვებს რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებათა შელახვას.

მაგრამ, მაშინ ხომ შეიძლება გავამართლოთ ნებისმიერი აგრესია და ანექსია, შენიშნა ედუარდ შევარდნაძემ. უნდა ითქვას, რომ საქართველოში ცხოვრობს 500 ათასი რუსი და მათგან არცერთს არ ემუქრება რაიმე საფრთხე. ისინი სარგებლობენ ისეთივე უფლებებით, როგორც ქართველები, საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. პრეზიდენტის განცხადების ეს ნაწილი ბიძგს აძლევს რეაქციული ძალების მოქმედებას, თქვა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ. იმის მიუხედავად, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკების რეზერვები ამოწურულია, მიმაჩნია, რომ ბრძოლა პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრისათვის ჩვენ არ უნდა შევწყვიტოთ — დაასკვნა მან.

ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა ჟურნალისტთა კითხვებს.

ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ საქართველოს გადარჩენაზე!

BEGAN THE ... INTERVENTION OF GEORGIA WE ASK PUBLIC ORGANIZATION TO SUPPORT US
ALL THE CITIZ... ARE SOLDIERS

სურათზე: მიტინგის დროს.

ვანო შამანაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აფხაზეთის ამბებისადმი მიძღვნილი მიტინგი თბილისში

ამგვარი განსაცდელის წინაშე დიდი ხანია არ მდგარა ჩვენი სამშობლო. ყველა ჩვენგანი სულის სიღრმემდე შეძრა შემაძრწუნებელმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ აფხაზთა და ჩრდილოკავკასიელთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ლესელიძე დაიკავეს. სრულიად საქართველო გლოვობს ერთიანობისთვის სიცოცხლეშეწირულ ვაჟკაცებს იმ უმწეო ბავშვებს, მოხუცებს, ქალებს, რომლებიც მომხდურის გაუგონარი ვანდალიზმისა და ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ.

ამ შემზარავი მოვლენებით გამოწვეულმა აღშფოთებამ მიიყვანა 6 ოქტომბერს რიყეზე გამართულ მიტინგზე თბილისელები. ქალაქის მერმა ოთარ ლითანიშვილმა, რომელმაც გახსნა თბილისელთა ეს თავყრილობა, ერთხელ კიდევ შეახსენა თანამოქალაქეებს ის უდიდესი და საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს საქართველოს ყოველი მცხოვრების წინაშე დგას — უნდა გამოცხადდეს საყოველთაო მობილიზაცია, — თქვა მან. ამასთან, ქალაქის მერმა საზოგადოებრიობას ამცნო, რომ განსაკუთრებული მდგომარეობის გამო შეიქმნა სახელმწიფო სამხედრო საბჭო, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ედუარდ შევარდნაძე.

მიტინგის მონაწილეებს სიტყვით მიმართა პროფესორმა მარიკა ლორთქიფანიძემ, რომელმაც საქართველოში დღეს მიმდინარე მოვლენები 1918 წლის ამბებს შეადარა. — ისტორია მეორდება, — თქვა მან —გასაჭირში მყოფ საქართველოს მაშინ დახმარების ხელი არავინ გამოუწოდა და დღესაც, უწინარეს ყოვლისა, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ვიქონიოთ.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი **მიხეილ გურგენიძე**, თადარიგის პოლკოვნიკი **ივანე კუჩინსკი**, მილიციის პოდპოლკოვნიკი **ანზორ მიქაუტაძე**, 83-ე საშუალო სკოლის პედაგოგი **ელისაბედ ჩერნიშოვა**, ეროვნულ-დემოკრა-

(დასასრული მე-2 გვ.)

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ქართველთა მასობრივი მკვლელობანი გაგრაში

გვატყობინებენ ტრაგედიის თვითმხილველნი

ძარღვებში სისხლი გეყინება, როცა ისმენ აფხაზეთის ქალაქებიდან და სოფლებიდან მიღებულ ცნობებს, სადაც დათარეშობენ აფხაზ ექსტრემისტთა, ჩრდილოკავკასიელ ბოევიკთა და დაქირავებულთა შეიარაღებული ბანდები, რომლებიც ამ მიწა-წყალზე მოვიდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ ხოცონ, ძარცვონ და გააუპატიურონ, გზარავს ქართველთა გადამწვარი სახლები, აუტანელ გულისტკივილს გრძნობ გაუპატიურებული ქალების, უდანაშაულოდ მოკლული მამაკაცების, ქალების, ბავშვების გამო. შურისძიებით იმსჭვალები დაღვრილი სისხლისა და მშობელი ხალხის შებღალული პატიოსნებისთვის...

ფაქტები, ფაქტები, ფაქტები... ბიჭვინთის ნავსადგურში ცოცხლად დამარხეს შურა პეტრიაშვილი, საკუთარ სახლში მხეცურად მოკლეს დედაშვილი გიგინეიშვილები, სოფელ კოლხიდაში დატყვევებული ქართველი მეომარი აქციეს სამიზნედ და რიგრიგობით ესროდნენ, სანამ არ დაცხრილეს უბედური მეომრის მთელი სხეული...

ოქტომბრის პირველ რიცხვებში გაგრაში მოხდა ადგილობრივ ქართველ მცხოვრებთა დაგეგმილი მასობრივი მკვლელობა. დაუზუსტებელი მონაცემებით დახოცეს 800 კაცზე მეტი. თურმე, ქალაქ გაგრაში შესულ „ვაიგამარჯვებულებს" წინასწარ ჰქონიათ შედგენილი სიები, რომლებითაც მოსპეს უდანაშაულო მშვიდობიანი მცხოვრებნი. ამ სიებს კი თურმე ადგენდნენ გაგრის მილიციის უფროსის ყოფილი მოადგილე ნალიკ ხაგუსი და მისი თანამზრახველნი, რომლებიც წლების მანძილზე ქართველების გვერდით ცხოვრობდნენ.

რა დანაშაული მიუძღოდა აფხაზ ექსტრემისტთა და ჩრდილოკავკასიელ დაქირავებულ მკვლელთა წინაშე 80 წლის გაგრელს საკურორტო სამმართველოს ყოფილ უფროსს ბარამიას, რომელიც დახვრიტეს ცოლთან ერთად მისსავე სახლში, ანდა ნოდარ ჩარკვიანს, 65 წლის გიორგი გეგეჭკორს, რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს თანამშრომელს მიხეილ ვაჩაძეს, 60 წლის ინჟინერს მიხეილ ჯინჯარაძეს, შონიას ოჯახს — ორ მამაკაცსა და ქალს, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატს მიხეილ ჯინჯარაძეს, მეთევზეობის კოლმეურნეობის დირექტორს ვახტანგ შელიაძეს, 65 წლის ეკონომისტს ილია ცაგარელს და მის ვაჟს, კინოთეატრის დირექტორს მიხეილ გელოვანს და მრავალ სხვას, რომლებიც ქალაქის პლაჟზე დახვრიტეს შემდეგ, გაგრის ამჟამინდელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის იაზიჩბას სიტყვებით, ორმოში ჩაყარეს...

ამ მხეცებმა დახოცეს ჩვენი დაჭრილი მეომრები საავადმყოფოში, სადისტურად მოკლეს ახალგაზრდა ექიმი გია გეგეჭკორი, ექთანი იზოლდა ხვისტანი... გაგრის სტადიონსა და გაგარინის მოედანზე შეკრებილი ბულდოზერებითა და სხვა ტექნიკით დახოცილთა გვამები შეაქუჩეს და... დაწვეს!

რას შეიძლება შევადაროთ ფაშისტთა ეს აღმაშფოთებელი ბოროტმოქმედებანი? არასოდეს, არავითარ გარემოებაში არ ექნება შენდობა ამ ბარბაროსულ ფაქტებს. უკვე იქმნება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სპეციალური კომისია, რომელიც გამოიძიებს ყოველ ამგვარ ფაქტს და გამოიტანს თავის მკაცრ ვერდიქტს. ვერც ერთი მკვლელი ვერ ასცდება კანონიერ შურისძიებას. ხალხის სასჯელი ულმობელი იქნება!

ლევან დოლიძე,
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სახელმწიფო მრჩეველი.

ნომერში

- ⊙ დღეს აფხაზეთში საქართველოს ბედი წყდება. 3
- ⊙ გარდაბანში დაესრულა ღვთისმშობლის შობის საეკლესიო კომპლექსი. 4

სისხლით მოისვარა მორიგების ფურცლები

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის განცხადება

მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს აფხაზ სეპარატისტთა და მათ დამქაშთა — ეგრეთ წოდებული კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის დაქირავებულ მკვლელთა, აგრეთვე გუდაუთაში მოკალათებული რუსი ეროვნების ექსტრემისტთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს უშუალო მხარდაჭერით შეავიწროეს საქართველოს შეიარაღებული ძალების მცირერიცხოვანი ქვეგანაყოფები, რომლებიც იცავდნენ განთიადსა და ლესელიძეს, დაიკავეს ორი უკანასკნელი დასახლებული პუნქტი რუსეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე. იგდეს რა ხელთ საქართველოს ეს კარიბჭე, აფხაზმა ექსტრემისტებმა და მათმა სულისჩამდგმელებმა რუსეთში ხორცი შეასხეს თავიანთ დიდი ხნის განზრახვას ჩამოეშორებინათ საქართველოსათვის მისი ოდინდელი მიწები საქართველო-რუსეთის სასაზღვრო ნაწილში.

შელახულია რუსეთის მიერ დადასტურებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის პრინციპი, ხაზი გადაესვა მიმდინარე წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეხვედრის საბოლოო დოკუმენტს, სისხლით მოისვარა მორიგების ფურცლები, რომლებიც საფუძვლად უყრიან საქართველოსა და რუსეთის ახალ ურთიერთობას. ასობით მოკლული, წინასწარ შედგენილი სიებით დახვრეტილი მშვიდობიანი მოქალაქეები, ათასობით ლტოლვილი, ნაცარტუტად ქცეულ მშობლიურ კერებს რომ ტოვებენ — ასეთია კიდევ ერთი შედეგი იმ ავანტიურისა, რომელიც წამოიწყეს წითელ-მიხაკისფერმა რეაქციამ მოსკოვსა და გუდაუთაში, აფხაზეთის ხელმძღვანელობის მოფაშისტო დაჯგუფებამ და მათმა თანამზრახველებმა გროზნოსა და აგრესიული სეპარატიზმის სხვა კერებში.

ეს სისხლიანი თესლი დამღუპველ აღმონაცენს მისცემს კავკასიასა და თვით რუსეთს, და მთელი პასუხისმგებლობა ამისთვის დაეკისრება სხვადასხვა ჯურის რეაქციას, საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებაში რომ არის დარაზმული, უშუალოდ გენერლებს: კონდრატიევსა და სიგუტკინს, რომლებიც გუდაუთაში არიან როგორც რუსეთის ხელმძღვანელობის პირადი წარმომადგენლები.

რუსეთის ფედერაციის მთავრობას, რუსეთის პრეზიდენტს ბატონ ბ. ელცინს

საქართველოსათვის ამ მძიმე დღეებში მოგმართავთ თქვენ — ჩვენ, რუსი მოსახლეობის წარმომადგენლები, რომლებმაც სამშობლო ვპოვეთ საქართველოს მიწა-წყალზე. ეს არის ჩვენ მიმართ, ისევე როგორც, სხვათა შორის, ნებისმიერის მიმართ, ვინც არ იშურებს გადაუხადოს მას შვილური ვალი, გულუხვობისა და სიკეთის სამშობლო. ათასობით რუსთა ოჯახს თავისი ფესვები გადგმული აქვს საქართველოს ისტორიაში, სადაც ყოველთვის გამოინახებოდა ხოლმე ადგილი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებისათვის. საქართველო ოდითგანვე განთქმული იყო თავისი ტოლერანტობით, და მისი მტრების დღევანდელი მონაჩმახები იმის თაობაზე, თითქოს აქ ილახებოდეს არამკვიდრი ეროვნების ადამიანთა ინტერესები, უსაფუძვლო და სასაცილოა. რუსული კავშირის გათამაშებას ცდილობენ საქართველოსათვის ტრაგიკულ ჟამს, როცა მის თავისუფლებას, ტერიტორიულ მთლიანობას დაემუქრნენ აგრესორები, დაქირავებულთა ბანდები, რომლებიც არ ივიწყებენ თავიანთ ანგარებით ინტერესებს აფხაზეთის „დაცვისას".

დაცვა ვისგან? ქართველებისგან, რომლებთანაც ჩვენ მშვიდობიანად და ურთიერთგაგებით ვცხოვრობთ? ჩვენი ურთიერთობა ამ ხალხთან შეიძლება მაგალითი იყოს ბევრისათვის. მაშ, რა საჭიროა შუღლის ჩამოგდება მათ შორის, რა საჭიროა სიცრუის, სიყალბის თესვა, იმის მტკიცება, რომ რუსები შელახული ერია საქართველოში, რომ ტრაგედია აფხაზეთში ჩვენი ტრაგედიაა? დიახ, ჩვენია. მაგრამ არა იმიტომ, რომ როგორც დღეს ცდილობს წარმოადგინოს ზოგიერთმა გენერალმა, ჩვენ განვიცდით დევნას ქართველთა მხრივ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ქართველებთან ერთად დღეს გვყავს საერთო მტერი, რომელმაც ხელყო ჩვენი სახლი, მშვიდობა ჩვენს მიწა-წყალზე. მტრის მზაკვრობა უნდა აღიკვეთოს, იგი უნდა შევაჩეროთ, რათა აღარ დაიღვაროს ადამიანთა სისხლი, — და ამ განზრახვაში ქართველ ერთან ერთად ვართ.

ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ არავინ და არაფერი არ ემუქრებოდა აფხაზი ხალხის ინტერესებს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. მათ ჰქონდათ ყველა უფლება, ქართველებზე და აფხაზეთში მცხოვრებ სხვა ეროვნებებზე მეტიც, მაგრამ სეპარატისტებმა პირი შეკრეს ჩრდილოეთ კავკასიის ნაციონალისტებთან და რეაქციულ ძალებთან, რომლებიც მრავლად არიან ჩიჩენთა შორისაც, და ეწევიან ომს ქართველი ერის წინააღმდეგ. განსაკუთრებით საშინელია ინტერვენტთა მხეცობა, ისინი არ ინდობენ არც ბავშვებს, არც ქალებს, არც მოხუცებს, არც დაჭრილებს, არც ავადმყოფებს. საჯაროდ წვავენ ადამიანებს სტადიონზე. როგორ შეიძლება ყოველივე ამის მოთმენა?!

მრავალი ეროვნების წარმომადგენლები, მათ შორის რუსებიც, ეწერებიან მოხალისეებად, რათა დაიცვან სამშობლო, დიახ, სამშობლო.

რაც შეეხება სამხედროთა მეტისმეტ ზრუნვას საქართველოში რუსთა ინტერესებისათვის, ჩვენ ვურჩევდით მათ განსაკუთრებით ნუ გამოიდებენ თავს. საშიშია ამ ეგრეთ წოდებულმა ზრუნვამ არ მოგვიტანოს საწინააღმდეგო შედეგები, არ გამოიწვიოს არასასურველი ემოციები. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენს დაუპატიჟებელ დამცველებს არა აქვთ განზრახული პროვოკაციულად გამოიწვიონ საქართველოში ეროვნებათაშორისი შუღლის ახალი კერა. ერთხელ კიდევ ვაცხადებთ: საქართველო ჩვენი სამშობლოა, ხოლო ადამიანები სამშობლოს არ უწოდებენ მიწა-წყალს, ქვეყანას, სადაც მათ უფლებებს რაიმე ან ვინმე ემუქრება. ასე რომ, დაიხსომეთ: საქართველოში რუსთა უფლებები არ ილახებოდა და არც ახლა ილახება, და ქართველ ხალხთან ერთად მოვითხოვთ, ხელს ნუ შეუშლიან მშვიდობისა და სიმშვიდის დამყარებას ჩვენს უძველეს მიწა-წყალზე.

ამერიკის ელჩის მიღება

6 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი კენტ ბრაუნი მისივე თხოვნით. გაიმართა კონფიდენციალური საუბარი.

ტერორის მორიგი ცდა

ამ დღეებში განსაკუთრებით გააქტიურდნენ საქართველოს გარეშე თუ შინაური მტრები. მათ სურთ მუხანათური დივერსიებით, ტერორისტული აქტებით კიდევ უფრო აგვაწიოკონ, მაგრამ გადაგვარებულთა ბოროტ ზრახვებს აღსრულება არ უწერია! საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოები ყოველმხრივ მობილიზებულნი შეუპოვრად დგანან სამშობლოსა და ერის სადარაჯოზე.

თბილისი რომ საიმედოდ არის დაცული და ტერორისტებს გასაქანის ოდნავი საშუალებაც არ მიეცემათ, ამას 6 ოქტომბრის ღამით სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული ოპერაციაც ადასტურებს...

რესპუბლიკის პროკურატურის ორგანიზებული დანაშაულისა და საბოტაჟის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსმა ანზორ ბალუაშვილმა გვითხრა: 6 ოქტომბერს ინფორმაციისა და დაზვერვის თბილისის სამმართველოს, პოლიციის თბილისის სამმართველოსა და რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკებმა დაახლოებით ღამის სამ საათზე გააუვნებლეს და დააკავეს საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა ჩასადენად ორგანიზებული ბანდა.

ამ ფაქტის თაობაზე დაწვრილებით უახლოეს ხანში გიამბობთ.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ საქართველოს გადარჩენაზე!

(დასასრული)

ტიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი ირინა სარიშვილი, გაზეთ „ქართული ფილმის“ კორესპონდენტი იური მეჩითოვი, ქართული კულტურის ცენტრის გენერალური დირექტორი ზაზა კალამთოვი, პროფესორი ზურაბ ჭილაძე, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი, მწვანეთა პარტიის წევრი გიორგი ბარამიძე, საინგილოს საზოგადოება „ჰერეთის“ თავმჯდომარე ლადო ასლამაზაშვილი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, პოეტი იზა ორჯონიკიძე, აფხაზეთში მებრძოლი მეომრის დედა ცირა თევზაძე.

წაიკითხეს საქართველოს რუსი მოსახლეობის მიმართვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინისადმი. ყველა გამოსვლაში გაისმოდა მოწოდება გაერთიანებისა და მამულის დასაცავად ერთ მუშტად შეკვრისაკენ. ამასთან, თითოეული გამომსვლელი განსაკუთრებით აღნიშნავდა 11 ოქტომბრის არჩევნების უდიდეს მნიშვნელობას ქვეყნისთვის ამ ძნელბედობის ჟამს.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე.

სინდისის ქენჯნით მოვედი აქ. ბევრს ვფიქრობთ ჩვენც და თქვენც, სად ვიყავით მართალი, სად შევცდით. მე დღეს ვფიქრობ, იქნებ ჩემი ბრალია, სისხლი რომ დაიღვარა გაგრაში, ლესელიძეში, სოხუმში. ახლა ვფიქრობ, ეს ჩემი ინიციატივით იყო, 3 სექტემბრის ხელშეკრულებას რომ მოვაწერე ხელი. მე მჯეროდა და მჯერა რუსეთის ხელისუფლების, ახლა ვფიქრობ, იქნებ სულ არ უნდა მომეწერა ხელი, იქნებ ნაკლები ყოფილიყო მსხვერპლი.

ჩვენ პატიოსანი ხალხი ვართ. მე ასობით და ათასობით ხელშეკრულებაზე მომიწერია ხელი — ავღანეთიდან ჯარის გამოყვანაზე, გერმანიის გაერთიანებაზე, ევროპის გათავისუფლებაზე და ბევრზე, და არც ერთ შემთხვევაში მოტყუებული არ ვყოფილვარ. ახლა მე ისეთი გრძნობა მეუფლება, მოტყუებულ კაცს რომ აქვს. ჩვენ ვენდეთ რუსეთის ხელისუფლებასაც, ვენდე მე აფხაზეთის იმ ხელმძღვანელებს, რომლებმაც დაადასტურეს ეს ხელშეკრულება.

გამოვიდა ისე, რომ იმ ხელშეკრულებიდან არაფერი შესრულდა. მე მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენ მართალნი ვართ, მართალნი ვართ ჩვენი ხალხის წინაშე, რომ ჩვენ მშვიდობის გზა ავირჩიეთ. რადგან მაშინ ვთქვით, რომ ჩვენ აფხაზებთან ერთად გვინდა ცხოვრება ამ კურთხეულ მიწაზე, რომ რუსებთან ერთად გვინდა ცხოვრება ამ პლანეტაზე. დრო კიდევ გვიჩვენებს, ვინ არის მართალი.

მე არ ვეთანხმები იმ აზრს, თითქოს დღეს მიტინგზე ცოტა ხალხი შეკრებილიყოს. მოვიდა ის, ვინც შეძლო. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ საქართველოს გადარჩენაზე, იმ ბიჭებზე, რომლებიც იქ იბრძვიან. მე ქედს ვიხრი იმ დედების, იმ ქალბატონების წინაშე, ჩემს წინ აქ რომ გამოვიდა. ის ბიჭები უნდა გადავარჩინოთ.

ეს ბრძოლა არ მოშუშდება, ჩვენ გავიმარჯვებთ. ამაში ეჭვი არ მეპარება, გაგრასაც დავიბრუნებთ, საქართველოს ჭიშკარიც საიმედოდ ჩაიკეტება. ცოცხლებიც იშვილებიან, მხოლოდ არ იშველებიან იმ ბიჭებს, მოხუცებს, ქალებს, რომლებიც დახვრიტეს, დაწვეს. ჩვენი სამშობლო მათ ძეგლებს აუგებს. მათი სახელი დაუვიწყარი იქნება. მათ მშობლებს ვეთაყვანებით, მათი ღვაწლი დაუვიწყარია.

მე მინდა შევეხმიანო ბატონ ბორის ელცინს, რომელიც დღეს გამოვიდა რუსეთის უზენაესი საბჭოს სხდომაზე. მე მჯერა ამ კაცის, არ მჯერა პარლამენტის იმ უმრავლესობის, თქვენ კარგად იცით, მე იქ ბევრი „მეგობარი“ მყავს იმათი, ვინც არ მაპატია და არც მაპატიებს ავღანეთიდან ჯარების გამოყვანას, ევროპის განთავისუფლებას, გერმანიის გაერთიანებას. არ მჯერა მე ამ პარლამენტის, მაგრამ ამ კაცის და დემოკრატიული რუსეთისა მჯერა. ბატონმა ბორის ელცინმა წარმოთქვა ასეთი სიტყვები, რომლებიც, ალბათ, ვიღაცამ მოახვია თავს, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა დაიცავს ადამიანის უფლებებს და რუსი ეროვნების ადამიანის უფლებებს, სადაც ისინი არიან.

ბატონო პრეზიდენტო! ხომ არ არის ეს ის უფლება, რომ ხვალ შეიძლება ანექსიაზე ილაპარაკოთ. მე მგონი შეეშალა ეს ბატონ ელცინს. მაგრამ ზოგადად თუ ვილაპარაკებთ, საერთაშორისო ნორმების შესაბამისად საქართველოში მცხოვრები რუსების, სომხების, აზერბაიჯანელების, ებრაელების, ქურთების, და სხვებისა და სხვების ბედზე, თქვენზე ნაკლებად არ ვზრუნავთ. აქ მცხოვრები რუსები ჩვენი ძმები არიან, ჩვენი თანამემამულენი, თქვენზე ნაკლებად არ გვიზრუნია და არ ვიზრუნებთ წესიერ, პატიოსან აფხაზებზე. ქართველებსა და აფხაზებს შორის ასეთი რამ არასოდეს ყოფილა. ჩვენ ერთად ვცხოვრობდით საქართველოში, ჩვენ ძმები ვიყავით. ეს თქვენმა ზოგიერთმა თანამემამულემ, ჟირინოვსკებმა და სხვებმა გადარიეს ერთი ნაწილი აფხაზებისა, რომ, თურმე, აფხაზეთი შეიძლება შეუერთდეს სხვა ქვეყანას. ამ ქართულ მიწაზე საუკუნეთა განმავლობაში ცხოვრობდნენ აფხაზები და ქართველები. სოხუმში მე ვთქვი, რომ ქართულ მიწაზე ვდგავარ. ეს ქართული მიწაა. თუ გნებავთ ცხოვრება, იცხოვრეთ, თუ არადა — წაბრძანდით, ისე კი ვერ წაიღებთ ერთ გოჯ მიწასაც კი.

კიდევ მივმართავ რუსეთის პრეზიდენტს, იქნებ კიდევ არის პატარა შანსი, რომ შეწყდეს სისხლისღვრა, ჩვენ არ გვითქვამს, ქართველ ხალხს არ უთქვამს, გინდა თუ არა რუსეთის ჯარი აქედან გაიყვანეთო. ჩვენ ამის შესახებ გვინდა მოვილაპარაკოთ. რა გვეკუთვნის, რა უნდა დარჩეს აქ. ჩვენ სხვაგვარად გვინდა მოვექცეთ, არა ისე, როგორც სხვა რესპუბლიკებში. თქვენ სხვა რესპუბლიკებმა გაგრეკეს, თქვენ არ იცით, სად ათევენ ღამეებს თქვენი ოფიცრები და გენერლები. ჩვენ კი გვინდა აქედან მეგობრებად წავიდნენ ისინი.

ვთხოვ მთელ საქართველოს, მხარი დაგვიჭირონ. თქვენ კარგად იცით, როგორ მოგვექცნენ აფხაზეთში მყოფი რუსი გენერლები, ვერტმფრენები არ აუშვეს ცაში, ჩემს ვერტმფრენს აფრენის ნება არ მისცეს, ჩამოაგდეს ჩვენი ვერტმფრენი, დაიღუპა ჩვენი გმირი მფრინავი.

მიუხედავად ამისა, მე მაინც ვამბობ, ბუზს არ აუფრენენ არც ერთი სამხედრო პირის ოჯახს, დიასახლისს, ვინც აქ ცხოვრობს. ჩვენ საამისოდ სულგრძელობა და პასუხისმგებლობა გვეყოფა. ვითანამშრომლოთ, როგორც თანასწორებმა. ჩვენ ცამეტ ოქტომბერს უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. შევხვდებით კიდეც, მაგრამ ჩემი თანხმობის გარეშე ბატონმა ელცინმა განაცხადა, ჩვენ აფხაზეთში შევხვდებითო. ძალიან კარგი, მაგრამ იქნებ მე სხვა აზრისა ვარ. მორჩა ის დრო, რომელსაც მეც ვემსახურებოდი და ისიც, დღეს დამოუკიდებელია ჩვენი ქვეყანა. იქნებ გავთავისუფლდეთ ძველი შოვინისტური, შავრაზმული იდეებისა და თეორიებისაგან. ჩვენ, მეგობრებო, როგორც უნდა იყოს, როგორც უნდა გვიჭირდეს, რამდენიც უნდა დავიღუპოთ, და მათ შორის მეც, საქართველო მაინც თავისუფალი იქნება, დემოკრატიული იქნება, მოვა დრო, საქართველო ბედნიერი იქნება. მე რამდენიმე პროგნოზი გამოვთქვი და არ შევმცდარვარ. მჯერა, ხვალ და ზეგ არა, მაგრამ ორი ათასი წლისათვის, ჩვენ ყველანი ცოცხლები ვიქნებით, საქართველო ერთ-ერთი აყვავებული ქვეყანა იქნება. ამას ვხედავ, როგორც თქვენ გიყურებთ.

გული მეთუთქება, რომ იტყვიან, მდუღარე წყალს რომ გადაასხამენ, ისე, რომ ეს სიტყვები ვერ მოისმინეს იმ ბიჭებმა, რომლებიც გმირულად დაიღუპნენ გაგრაში. მაგრამ ისინიც გაიგონებენ ამას, ის საქმე, რომელსაც ისინი შეეწირნენ, უკვდავი იქნება.

და ბოლოს, ისევ არჩევნების შესახებ. ათი ათასი მადლობა ყველას, ვინც მხარი დაუჭირა ჩვენი არჩევნების იდეას. ყველაფერი ის, რაც გვჭირს, იმ ბიჭების სიცოცხლე, სისხლი რომ დაიღვარა, იმის ბრალია, რომ არ გვყავს ხალხის ნდობით აღჭურვილი ხელისუფლება.

მივმართავ მთელ საქართველოს, ყველას მოგმართავთ, რომ თერთმეტ ოქტომბერს ხმა მისცეთ საქართველოს თავისუფლებას, ბედნიერ მომავალს, კანონიერ ხელისუფლებას, წესრიგსა და დისციპლინას.

მიტინგმა ცხადყო მის მონაწილეთა ერთსულოვნება, რომ დღეს ყველას ვალია, ერთად ვიზრუნოთ საქართველოს გადარჩენაზე.

მაია ალუდაური,
მერი გაბრიაძე,
ენდი ჟამიერაშვილი.

ამ რთულ ვითარებაში



საქართველოს პარლამენტის არჩევნებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა. დიდი დაძაბულობის, უაღრესად რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში ემზადება მომავალი არჩევნებისათვის ცენტრალური საარჩევნო კომისია სოხუმში.

— მომავალი არჩევნები, — ამბობს კომისიის თავმჯდომარე, პროფესიით ექიმი, ლევან ფიფია, — ეს არის ერთიანობის, დამოუკიდებლობის, დემოკრატიის გზა. და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ პარლამენტის არჩევნებმა ნორმალურ ვითარებაში ჩაიაროს, რომ თითოეულმა ამომრჩეველმა შესძლოს თავისუფლად გააკეთოს თავისი არჩევანი.

სურათზე: საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა სოხუმში.

ბორის ალექსანდრიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჟურნალისტები მხარს უჭერენ

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის და მასთან არსებული რაიონული და საქალაქო პრესის საკოორდინაციო ცენტრის მიმართვა ამომრჩევლებისადმი

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაცია და მასთან არსებული რაიონული და საქალაქო პრესის საკოორდინაციო ცენტრი სრულ ნდობას უცხადებენ და მთლიანად უჭერენ მხარს ბ-ონ ედუარდ შევარდნაძის არჩევას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე 1992 წლის 11 ოქტომბერს.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე მსოფლიოში სახელმოხვეჭილი, ყოველმხრივ გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწეა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი არჩევა ამ პოსტზე დიდად შეუწყობს ხელს იმ მძიმე კრიზისული ვითარების დაძლევას, რომელშიც ამჟამად საქართველო იმყოფება.

მივმართავთ საქართველოს ყველა ამომრჩეველს, განურჩევლად ეროვნებისა თუ სარწმუნოებისა, ვისთვისაც ძვირფასია მშობელი ქვეყნის, მთელი მოსახლეობის ბედნიერი მომავალი, მხარი დაუჭიროს ბ-ონ ედუარდ შევარდნაძის არჩევას ამ მაღალ სახელმწიფოებრივ პოსტზე.

შეხვედრა ამომრჩევლებთან

ამ დღეებში თბილისის სამრეწველო კოლეჯის შრომითმა კოლექტივმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ შეხვედრა მოუწყო საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიისაგან № 1 და № 2 მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში დასახელებულ დეპუტატთა კანდიდატთა ერთ ჯგუფს. შეხვედრა გახსნა კოლეჯის დირექტორმა ა. ჯინჭველაშვილმა.

მსმენელთა მხრივ დასმულ შეკითხვებსა და პასუხებში ნათლად გამოიკვეთა თერთმეტი ოქტომბრის არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების აუცილებლობა, აგრეთვე მომავალი პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ბატონ ედუარდ შევარდნაძის არჩევის საჭიროება.

რ. ფროდიაშვილი.

თქვენთვის ამომრჩეველნო!

ინსტრუქცია

1. ხმის მიცემის საიდუმლოების უზრუნველყოფა

საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი და ხმის მისაცემ შენობაში დასწრების უფლების მქონე პირები პასუხისმგებელნი არიან ხმის მიცემის საიდუმლოების უზრუნველყოფაზე დროის ნებისმიერ მონაკვეთში. დაუშვებელია კონტროლი ამომრჩეველთა ნების გამოვლენისადმი და ხმის ღიად მიცემა. (მუხლი 5).

2. ხმის მისაცემი შენობის მოწყობა

ხმის მიცემა იწყობა სპეციალურად გამოყოფილ ისეთ შენობაში, რომელიც არაა მხოლოდ ერთი პარტიის (საარჩევნო ბლოკის) სარგებლობაში (მუხლი 50).

ხმის მისაცემი შენობა ღიაა 07.00 სთ-დან 20.00 სთ-მდე. კომისიის წევრები ხმის მისაცემ შენობაში უნდა გამოცხადდნენ 06.30 სთ-ზე, რათა მოამზადონ შენობა არჩევნებისათვის.

შენობა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ამომრჩევლებმა ბიულეტენები შევსების შემდეგ ჩაყარონ საარჩევნო ყუთში და დატოვონ შენობა. საარჩევნო ყუთები ისეთნაირად იდგმება, რომ ხმის მიმცემნი მათთან მისვლისას აუცილებლად გადიოდნენ ფარული კენჭისყრის კაბინებს ან ოთახებს (მუხლი 50).

ხმის მისაცემ შენობაში გამოკრული უნდა იყოს პარტიების (ბლოკების) კანდიდატთა სიები, ადგილობრივ კანდიდატთა მონაცემები და პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატთა მონაცემები. თითოეულ ოთახსა და კაბინაში გამოკრული უნდა იყოს ინსტრუქციები ამომრჩეველთათვის, თუ როგორ შეავსონ ბიულეტენები. თითოეულ ოთახსა და კაბინაში უნდა იყოს აგრეთვე კალმისტრები, რომლებიც დროდადრო უნდა შემოწმდეს და გამოიცვალოს აუცილებლობის შემთხვევაში. თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი პარტია (ბლოკი), დეპუტატობის კანდიდატი არჩევნებში აღარ მონაწილეობს, სათანადო განცხადება თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს გამოკრული, როგორც საარჩევნო უბანში, ასევე ხმის მისაცემ კაბინებში (ოთახებში). (მუხლი 50).

3. ხმის მისაცემ შენობაში დასწრების უფლების მქონე პირები

არჩევნების დღეს ხმის მისაცემ შენობაში დასწრების უფლების მქონე პირები არიან: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიისა და საარჩევნო ბლოკის რწმუნებული შესაბამის საარჩევნო ოლქში, დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირები, საზოგადოებრივი გაერთიანების თითო წარმომადგენელი, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები, მეთვალყურეები სხვა სახელმწიფოებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. არჩევნების დღეს ხმის მისაცემ შენობებში საარჩევნო ყუთების დალუქვიდან არჩევნების შედეგების შეჯამების დამთავრებამდე — დეპუტატობის კანდიდატებისა და პარტიების (საარჩევნო ბლოკების) მიერ დანიშნული თითო მეთვალყურე (მუხლი 31).

4. წესრიგის დაცვა ხმის მისაცემ შენობებში

ხმის მიცემის დღეს ხმის მისაცემ შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. წესრიგის დაცვის მიზნით მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება ყველასათვის სავალდებულოა (მუხ. 50).

5. ხმის მისაცემი შენობის გაღება

ხმის მისაცემი შენობა უნდა გაიღოს და ხმის მიცემა უნდა დაიწყოს ზუსტად 07.00 სთ-ზე და არა უადრეს ამ დროისა. არჩევნების დღეს ხმის მიცემის დაწყებამდე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს მიღებული ბიულეტენების რაოდენობას. კომისიის წევრებისა და დასწრების უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამოწმებს და პლომბავს ან ლუქავს საარჩევნო ყუთებს, რის შემდეგაც ყუთებში უშვებენ საკონტროლო ფურცელს, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ კომისიის წევრები და ხმის მისაცემად მისული პირველი ამომრჩეველი; საკონტროლო ფურცელზე უნდა აღინიშნოს ყუთში მისი ჩაშვების დრო (მუხლი 50).

6. ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიები

ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, რომლებიც სიის შედგენის მომენტისათვის ცხოვრობენ მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და აქვთ საარჩევნო უფლება.

ყოველი უბნის ამომრჩეველთა სიაში მითითებული უნდა იყოს სახელი, გვარი და მამის სახელი, დაბადების თარიღი და მისამართი იმ პირებისა, რომლებსაც არჩევნებამდე ან არჩევნების დღეს შეუსრულდათ 18 წელი (მუხლი 31).

ყველა პირს, ვისი სახელი და გვარიც მითითებულია ამომრჩეველთა სიაში, აქვს ხმის მიცემის უფლება.

ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის საარჩევნო უბანში გამოიკვრება არჩევნებამდე 10 დღით ადრე, ხოლო საარჩევნო უბნებში, რომლებიც შექმნილია საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში — არჩევნებამდე 3 დღით ადრე.

საუბნო საარჩევნო კომისიები ამომრჩევლებს ურიგებენ ამომრჩევლის ბარათებს, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს ამომრჩევლის სახელი და გვარი, ამომრჩეველთა სიაში რიგითი ნომერი, საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი.

ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლევა გაასაჩივროს ამომრჩეველთა სიაში დაშვებული უზუსტობანი. სიაში უზუსტობის დაშვების შესახებ განცხადებას განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს ორი დღისა, ხოლო არჩევნების დღესა და წინა დღეს — დაუყოვნებლივ, განიხილოს განცხადება, შეიტანოს საჭირო შესწორებანი სიაში ან განმცხადებელს მისცეს დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება შეიძლება არჩევნებამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომელიც მოვალეა სამი დღის ვადაში განიხილოს საჩივარი. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

არჩევნების დღეს უნდა მომზადდეს აგრეთვე ამომრჩეველთა დამატებითი სია, რომელშიც მითითებული იქნება სახელი, გვარი და მამის სახელი, დაბადების თარიღი და მისამართი იმ პირებისა, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით ვერ მოხვდნენ ამომრჩეველთა ძირითად სიაში, მაგრამ არჩევნების დღეს დაადასტურებენ პასპორტის, პირადობის მოწმობის, ან ამომრჩეველთა ჩვენების (ამომრჩევლებმა უნდა დაადასტურონ, რომ პირი ნამდვილად ცხოვრობს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე) საფუძველზე, რომ ისინი მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. (მუხლი 34).

7. ბიულეტენების მიცემა ამომრჩევლებისათვის

ბიულეტენები უნდა მიეცეს მხოლოდ იმ ამომრჩევლებს, რომელთა სახელი და გვარიც მითითებულია ძირითად ან დამატებით სიაში. ეს უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც ამომრჩეველი წარმოადგენს პასპორტს ან პიროვნების დამადასტურებელ სხვა მოწმობას და ამომრჩევლის ბარათს, რომელიც მას ადრე გადაეცა, აგრეთვე ხმის მიცემის უფლების მოწმობას. ის პირნი, რომლებიც დამატებით სიაში უნდა იქნენ შეტანილნი. ამომრჩეველს მიეცემა სამივე სახის ბიულეტენი (ამომრჩეველს არ შეიძლება მიეცეს ერთ ცალზე მეტი ცალი ერთი სახის ბიულეტენი).

8. ხმის მიცემა

ბიულეტენების მიღების შემდეგ ამომრჩეველი უნდა გაემართოს ერთ-ერთ საარჩევნო კაბინისაკენ და ფარულად შეავსოს ისინი. ეს ამომრჩეველმა პირადად უნდა გააკეთოს. არავის არა აქვს უფლება შეჰყვეს მას კაბინაში. თუ ამომრჩეველს არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, მას უფლება აქვს კაბინაში მიიწვიოს სხვა პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, ნდობით აღჭურვილი პირისა, პარტიის (საარჩევნო ბლოკის) რწმუნებულისა და მეთვალყურისა.

იმ ბიულეტენის შევსებისას, რომელშიც შეტანილია პარტიების (ბლოკების), სახელწოდებები, ამომრჩეველი პარტიის (ბლოკის) სახელწოდების წინ ცარიელ უჯრედში წერს ციფრს „1“ თავისი პირველი არჩევანის გასწვრივ, ციფრს „2“ — მეორე არჩევანის გასწვრივ და ციფრს „3“ — მესამე არჩევანის გასწვრივ. ამომრჩეველი არაა ვალდებული სამ პარტიას (ბლოკს) მისცეს ხმა. მას შეუძლია შეჩერდეს ნებისმიერ ციფრზე. დანარჩენი უჯრედები უნდა გადაიხაზოს.

იმ ბიულეტენის შევსებისას, რომელშიც ადგილობრივი კანდიდატები ან პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატებია შეტანილი, ამომრჩეველი შემოხაზავს იმ კანდიდატის ნომერს, რომელსაც ხმას აძლევს და გადახაზავს სხვა კანდიდატების გვარებს.

თუ ამომრჩეველმა შეცდომა დაუშვა რომელიმე ბიულეტენში, მას შეუძლია დაუბრუნოს გაფუჭებული ბიულეტენი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ან მდივანს და მიიღოს ახალი. ამ შემთხვევაში ამომრჩევლის თანდასწრებით გაფუჭებულ ბიულეტენს კუთხეები უნდა ჩამოეჭრას და იგი უნდა ჩაიდოს გაფუჭებული ბიულეტენებისათვის განკუთვნილ სპეციალურ კონვერტში (მუხლი 51).

ყოველმა ამომრჩეველმა მხოლოდ თავად უნდა მისცეს ხმა. არავის არა აქვს უფლება სხვის ნაცვლად მისცეს ხმა.

იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ ამომრჩევლებს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზის გამო არ შეუძლიათ ხმის მისაცემ შენობაში მისვლა, მათ შეუძლიათ თხოვნით მიმართონ საუბნო საარჩევნო კომისიას რომ ხმის მიცემა მოუწყონ მათ ადგილსამყოფელში. ეს თხოვნა გატარებული უნდა იყოს განცხადებების ჟურნალში და საარჩევნო კომისიას უნდა ეცნობოს არჩევნების დღეს არა უგვიანეს 12 საათისა და ამომრჩეველთა სიაში სათანადო აღნიშვნა უნდა იყოს შეტანილი. ამ შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისია ავალებს თავის სულ ცოტა 2 წევრს, რომ საჭირო ბიულეტენები და გადასატანი საარჩევნო ყუთი წაიღონ ამომრჩევლის ადგილსამყოფელში, ასევე ეწყობა ხმის მიცემა ამომრჩევლისათვის, რომელიც თავისუფლების აღკვეთის ადგილას იმყოფება სასამართლოს განაჩენის გარეშე (მუხლი 50).

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს და ხმის მისაცემ შენობაში დასწრების უფლების მქონე პირებს შეუძლიათ მოსთხოვონ ნებისმიერ ამომრჩეველს ყუთში ბიულეტენების ჩაშვებამდე აჩვენონ, რომ მხოლოდ თითო ბიულეტენი აქვს (მუხლი 51).

არჩევნების საათებში ხმის მისაცემი შენობა არ უნდა დაიკეტოს და ხმის მიცემა არ უნდა შეწყდეს, თუკი ამისათვის სპეციალური უფლება არ იქნება ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან.

9. ხმის მისაცემი შენობის დაკეტვა

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარისა და დეპუტატთა არჩევნების დროს ხმის მიცემა ეწყობა არჩევნების დღეს 7 სთ-დან 20 სთ-მდე. ხმის მიცემა უნდა შეწყდეს ზუსტად 20.00 სთ-ზე. ამომრჩევლებს, რომლებიც ამ დროს შენობაში იმყოფებიან, შეუძლიათ შეავსონ ბიულეტენები. ამის შემდეგ ხმის მისაცემი შენობა უნდა დაიკეტოს.

საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და ძნელად მისადგომ ადგილებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია ხმის მიცემა დამთავრებულად გამოაცხადოს ნებისმიერ დროს, თუ ხმა მისცა სიაში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა (მუხლი 49).

10. ხმების დათვლა საარჩევნო უბანში

ხმების დათვლისას დაცული უნდა იყოს შემდეგი თანამიმდევრობა:

1) ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისია ითვლის და პაკეტებად კრავს გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს. პაკეტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის სახელი და ნომერი, გამოუყენებელი ბიულეტენების სახეობა და რაოდენობა. მას ხელს უნდა აწერდნენ კომისიის თავმჯდომარე (ან მოადგილე) და მდივანი და უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი; ითვლის და პაკეტად კრავს გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს და აფორმებს ზემოთ აღნიშნული წესით;

2) ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას და არჩევნებში, მონაწილეთა ანუ იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომელთაც მიიღეს ბიულეტენები;

3) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთებზე ბეჭდის მთლიანობას, ხსნის მათ და ამოწმებს ყუთებში საკონტროლო ფურცლის არსებობას. თუ ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა, ამის შესახებ ოქმს უნდა დაერთოს კომისიის ახსნა-განმარტება;

4) კომისია ცალ-ცალკე ითვლის ყუთებში არსებული სხვადასხვა ფერის დადგენილი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობას. ცალკე ითვლება დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები. ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები ფერების მიხედვით ცალ-ცალკე კონვერტებში იდება და იმდაგვარად იბეჭდება, რომ ბეჭდის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს კონვერტიდან ბიულეტენის ამოღება ან მასში ჩადება. კონვერტებს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, მათში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა, მათი სახეობა;

5) ბიულეტენი ნამდვილად უნდა იქნეს ცნობილი. თუ ამომრჩეველმა ერთ პარტიას (საარჩევნო ბლოკს) მაინც მისცა ხმა დებულებით დადგენილ წესით, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ბათილად ჩაითვლება;

6) საარჩევნო ბიულეტენი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, თუ შეუძლებელია დადგინდეს, რომელ ადგილობრივ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა. ყველა სხვა შემთხვევაში ბიულეტენი ნამდვილად ითვლება;

პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატის საარჩევნო ბიულეტენი ბათილად უნდა იქნას ცნობილი, თუ შეუძლებელია დადგინდეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა;

7) კომისია ახარისხებს და ცალ-ცალკე ითვლის ყოველი კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას. ამის შემდეგ ბიულეტენები ისევე უნდა ჩაეწყოს, როგორც მე-4 პუნქტშია მითითებული; ყოველ კონვერტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი. დეპუტატობის კანდიდატის (პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატის) გვარი, მათში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა;

8) კომისია ახარისხებს და თავდაპირველად ითვლის ყოველი პარტიისათვის (საარჩევნო ბლოკისათვის) დაწერილი „3“-იანების რაოდენობას, შემდეგ — „2“-იანების რაოდენობას და ბოლოს — „1“-იანების რაოდენობას. ამის შემდეგ ცალ-ცალკე კონვერტებში უნდა ჩაეწყოს (როგორც მე-4 პუნქტშია მითითებული) ის ბიულეტენები, რომლებშიც მოცემულ პარტიას „1“-იანი უწერია. კონვერტებს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, პარტიის (საარჩევნო ბლოკის) სახელწოდება, მათში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა;

9) საუბნო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე განიხილავს ხმების დათვლის შედეგებს, აფორმებს სამ ოქმს, რომელთაგან ერთში აღნიშნული უნდა იყოს ყოველი ადგილობრივი კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, მეორეში — პარლამენტის თავმჯდომარეობის ყოველი კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, ხოლო მესამეში — ყოველი პარტიის (საარჩევნო ბლოკის) მიერ მიღებული „1“-იანების, „2“-იანებისა და „3“-იანების რაოდენობები. ოქმების ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი კანდიდატების, პარტიების (საარჩევნო ბლოკების) რაოდენობას. ოქმის ყოველ ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები, მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი;

10) ოქმების თითო ცალს და ყველა საარჩევნო ბიულეტენს დაუყოვნებლივ უგზავნიან საოლქო საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, თითო ცალი ინახება თვით საუბნო საარჩევნო კომისიაში. თითო ცალი კი უნდა ჩაბარდეს დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატთა ნდობით აღჭურვილ პირებს და პარტიებს (საარჩევნო ბლოკებს).

საარჩევნო ბიულეტენების ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს კენჭისყრით წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია, კენჭისყრის შედეგი შეაქვს ოქმში და ასეთ ბიულეტენებს ცალკე დასტად კრავს ზემოაღნიშნული წესით. (მუხლი 52).

11. არჩევნების შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ

საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით ადგენს: გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობას, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, არჩევნების მონაწილეთა რაოდენობას, ნამდვილად და ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენთა რაოდენობას. თითოეული კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას, არჩევნების შედეგებს.

დეპუტატობის ადგილობრივ კანდიდატთაგან არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც სხვებზე მეტ ხმებს მიიღებს. ხმათა ტოლი რაოდენობის მიღების შემთხვევაში არჩეულად ჩაითვლება შესაბამის საარჩევნო ოლქში მუდმივად მცხოვრები კანდიდატი, ხოლო თუ ეს პირობაც ერთნაირია — ასაკით უფროსი კანდიდატი.

საოლქო საარჩევნო კომისია განიხილავს საარჩევნო უბანში საარჩევნო დებულების უხეშად დარღვევის შემთხვევებს და თავის მოსაზრებას არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ დაუყოვნებლივ წარუდგენს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. საჩივარი ამ დებულების დარღვევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას შეიძლება წარუდგინოს არა უგვიანეს არჩევნების მომდევნო დღისა. მან იგი მეორე დღესვე უნდა განიხილოს და თავისი მოსაზრება არა უგვიანეს შემდეგი დღისა წარუდგინოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

საოლქო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე ადგენს არჩევნების შედეგებს და ამტკიცებს ოქმს.

ოქმის ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი დეპუტატობის კანდიდატების რაოდენობას. ოქმის ყველა ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები და მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

ოქმის პირველი ცალი არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა ეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, მეორე ცალი ინახება თვით საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი კი გადაეცემა დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილ პირებს.

საუბნო საარჩევნო კომისიების ის ოქმები, რომლებშიც შეჯამებულია პარტიული სიებით ჩატარებული არჩევნებისა და პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნების შედეგები, დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით. (მუხლი 58).

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

ძვირფასო ამომრჩევლებო!

სამშობლოს მომავალი თქვენს მიერ სწორად გაკეთებულ არჩევანზეა.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ბიულეტენების შევსების — ხმის მიცემის წესს

1 საარჩევნო ბიულეტენში, რომელშიც დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატებია შეტანილი, ამომრჩეველმა უნდა შემოხაზოს იმ დეპუტატობის კანდიდატის რიგითი ნომერი, რომელსაც აძლევს ხმას.

ამომრჩეველს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ ერთ დეპუტატობის კანდიდატს.

ამომრჩეველს შეუძლია სხვა დეპუტატობის კანდიდატების გვარები გადახაზოს;

2. საარჩევნო ბიულეტენში, რომელშიც შეტანილია პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატი, ამომრჩეველმა, რომელიც ხმას აძლევს თავმჯდომარეობის კანდიდატს, უნდა შემოხაზოს კანდიდატის რიგითი ნომერი, ხოლო ამომრჩეველმა, რომელიც ხმას არ აძლევს თავმჯდომარეობის კანდიდატს, უნდა გადახაზოს კანდიდატის გვარი. შეუვსებელი (სუფთა) ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად;

3. საარჩევნო ბიულეტენში, რომელშიც შეტანილია პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სახელწოდებები, ამომრჩეველს უფლება აქვს ხმა მისცეს სამ პარტიას ან საარჩევნო ბლოკს, აგრეთვე შეჩერდეს ორ ან ერთ პარტიაზე ან საარჩევნო ბლოკზე.

ა) ამომრჩეველმა, რომელიც ხმას აძლევს სამ პარტიას ან საარჩევნო ბლოკს, ციფრი „1“ უნდა ჩაწეროს იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის გასწვრივ ცარიელ უჯრედში, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონს. ციფრი „2“ უნდა ჩაწეროს იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის გასწვრივ ცარიელ უჯრედში, რომელიც პირველის შემდეგ მოსწონს ყველაზე მეტად და ციფრი „3“ უნდა ჩაწეროს იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის გასწვრივ, რომელიც პირველი ორის შემდეგ მოსწონს ყველაზე მეტად. დარჩენილი ცარიელი უჯრედები შეუძლია გადახაზოს.

ბ) ამომრჩეველმა, რომელიც ხმას აძლევს ორ პარტიას ან საარჩევნო ბლოკს, ციფრი „1“ უნდა ჩაწეროს იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის გასწვრივ ცარიელ უჯრედში, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონს და ციფრი „2“ უნდა ჩაწეროს იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის გასწვრივ, რომელიც უფრო ნაკლებად მოსწონს. სხვა ცარიელი უჯრედები შეუძლია გადახაზოს;

გ) ამომრჩეველმა, რომელიც ხმას აძლევს მხოლოდ ერთ პარტიას ან საარჩევნო ბლოკს ციფრი „1“ უნდა ჩაწეროს იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის გასწვრივ ცარიელ უჯრედში, რომელსაც აძლევს ხმას. დანარჩენი ცარიელი უჯრედები შეუძლია გადახაზოს.

• • •

6 ოქტომბერს გამართულმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიის სხდომამ განიხილა საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი. კერძოდ, ქალაქ მოსკოვში საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობაში გახსნილ საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა ძირითად სიაში შეიტანენ მხოლოდ იმ ამომრჩევლებს, რომლებსაც ბოლო მუდმივი ჩაწერა ჰქონდათ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და სიის შედგენის მომენტისთვის დროებით არიან ჩაწერილი ქალაქ მოსკოვში.

ამავე საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა დამატებით სიაში შეიტანენ მხოლოდ იმ ამომრჩევლებს, რომლებიც ხმის მიცემის დღეს გამოცხადდებიან ამ საარჩევნო უბანში და წარმოადგენენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაცემულ ხმის მიცემის უფლების მოწმობას.

შეიარაღებული კონფლიქტების და სტიქიური უბედურების ზონებიდან იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც ხანგრძლივად ცხოვრობენ მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, შეყვანილი იქნებიან ამომრჩეველთა ძირითად სიაში საარჩევნო დებულებით დადგენილი წესით.

იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე ჩამოსახლდნენ 1992 წლის 1 აგვისტოს შემდეგ (ან ბოლო ორი თვის განმავლობაში), შეყვანილი იქნებიან ამომრჩეველთა ძირითად სიაში, ამ პირთა განსახლებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოების მიერ შესაბამის საარჩევნო კომისიებში წარდგენის საფუძველზე 10 ოქტომბრამდე.

შეიარაღებული კონფლიქტების ზონაში მდებარე საარჩევნო ოლქების საოლქო საარჩევნო კომისიებს შეუძლიათ ცალკეულ საარჩევნო უბნებში ხმის მიცემა ჩაატარონ საარჩევნო უბნის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, თუ ეს აუცილებელია ამომრჩეველთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ასეთ შემთხვევებში არჩევნების მოსაწყობი შენობა და ხმის მიცემის წესი უნდა შეესაბამებოდეს საარჩევნო დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

პირადი განცხადებების საფუძველზე ამოღებული არიან დეპუტატობის კანდიდატთა სიებიდან:

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია

ბახტაძე რევაზ დავითის ძე — მე-5 საარჩევნო ოლქი

საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი

გლურჯიძე თეიმურაზ (ბიძინა) ელიზბარის ძე — მე-4 საარჩევნო ოლქი

ცეცხლაძე ოთარ ალექსანდრეს ძე — მე-10 საარჩევნო ოლქი

საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია

შელია კლიმენტი ივანეს ძე — მე-8 საარჩევნო ოლქი

მამედოვი შურადინ ბახადინის ძე — მე-5/23 ბოლნისის საარჩევნო ოლქი.

11 ოქტომბერს
საქართველოში
არჩევნებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომან მიმინოშვილი

ჩიხი

საზრისი

ბატონი ედუარდ შევარდნაძე პრესკონფერენციაზე აცხადებს: ჩიხში მოვექეცით. ცეცხლის ალში გახვეული აფხაზეთი, ბობოქრობს მთელი საქართველო, რომელიც თითქმის ორასი წელი ებრძოდა იმპერიათა შორის ყველაზე დაუნდობელ იმპერიას და თითქოს დადგა ნანატრი თავისუფლების ჟამი. ამ დროს სახელმწიფოს მეთაური ასეთ შემაძრწუნებელ ფრაზას ამბობს!

რა არის ეს? ნუთუ საქართველო მართლაც ისეთ დღეშია, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსი გამოსავალს ვერ ხედავს? ჩვენ ვიცით, რომ არასდროს მოხვედრილა იგი ჩიხში, მაშინაც კი, როცა მსოფლიო მასშტაბის გლობალურ საკითხებს წყვეტდა. როგორც ეტყობა, დღევანდელი პრობლემა, რომელიც თითქოს რამდენიმე ათეული ათასი აფხაზისა და რამდენიმე მილიონი ქართველის ურთიერთობას ეხება, მართლაც ერთი რგოლია, ერთი კვესია, რომელმაც შეიძლება უზარმაზარი, მსოფლიო მასშტაბის აფეთქება გამოიწვიოს.

სიძულვილი ბრმაა. სიძულვილმა შეიძლება ისეთი ნაბიჯი გადაგვადგმევინოს, საკუთარი თავიც წავაგოთ. ასეთ დღეშია რუსეთი. იგი ვერ შერიგებია მოუჩვეველ როლს: სულ ცოტა ხნის წინათ მსოფლიოს საკუთარ ნებას უკარნახებდა, დღეს კი კარგავს უმნიშვნელოვანეს პლაცდარმს ამიერკავკასიაში, და იმისათვის, რომ ეს შეინარჩუნოს, ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომლებმაც შეიძლება ჩრდილოეთ კავკასიაც დააკარგვინოს.

სინამდვილეს თვალი უნდა გავუსწოროთ. რუსეთმა აშკარა საინფორმაციო ომი გააჩაღა საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც არაფრით განსხვავდება კომუნისტური იდეოლოგიური ომისგან „[illegible] იმპერიალისტების“ წინააღმდეგ. „ცივი ომის“ მთავარი სამიზნე დღეს საქართველოა. მაგრამ ეს „ცივი ომი“ ისევე მარაგდება ცხელი იარაღით, რუსული იარაღით, როგორც თავის დროზე კუბა, ვიეტნამი თუ ერაყი. უფრო მეტიც: მარაგდება არა მხოლოდ სამხედრო სპეციალისტებით და უახლოესი ტექნიკით, არამედ ცოცხალი ძალითაც — რუსეთის მოქალაქეებით. აფხაზ სეპარატისტთა თუ მთიელთა კონფედერაციის დაქირავებული რაზმების უშუალო თანამემწენი არიან აფხაზეთში განლაგებული სამხედრო ნაწილები, საზღვაო და საჰაერო ფლოტი. „სამშვიდობო მისიით“ ჩამობრძანებული ჩინოვნიკები მხოლოდ შირმის როლს ასრულებენ და 3 სექტემბრის ხელშეკრულების დარღვევაზე მხრებს იჩეჩავენ — ამის შესახებ არაფერი ვიცით, მაგრამ გავარკვევთ.

დავუბრუნდეთ ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ წარმოთქმულ შემაძრწუნებელ ფრაზას ჩიხში მოხვედრის შესახებ. დღეს ყველამ ვიცით, თუ ვინ იყო ახალი მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი კონსტრუქტორი. ვინ შეძლო მიხეილ გორბაჩოვის გამოყენება ავღანეთის ომის შეწყვეტის, ბერლინის კედლის დარღვევის, ცივი ომის შეწყვეტის, აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლების და საბჭოთა იმპერიის დაშლის საქმეში?! ეს, რა თქმა უნდა, განაპირობა უწინარესად ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკურმა ძლიერებამ და რეიგანისა და შემდეგ ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკურმა ძალისხმევამ, მაგრამ არაფერი გამოვიდოდა, გორბაჩოვი იმპერიული, კომუნისტური ძალების ტყვეობაში ბოლომდე რომ დარჩენილიყო, რაც მის მდგომარეობაში სავსებით ბუნებრივი იქნებოდა. მიხეილ გორბაჩოვი მოქმედებდა თავისი ბუნების წინააღმდეგ, აკეთებდა იმას, რაც მისი წყობის ადამიანს არ უნდა გაეკეთებინა. აკეთებდა იძულებით, და ამით იყო გამოწვეული მისი მერყეობა მარცხნიდან მარჯვნივ, და არა რაღაც განსაკუთრებული, კომპრომისული დიპლომატიური ნიჭით. გორბაჩოვი რომ ახლაც მტკიცე ლენინელია, ლიგაჩოვისგან ბევრად რომ არ განსხვავდება, დღეს, როცა დიდი პოლიტიკიდან წავიდა, სავსებით აშკარაა: იგი ახლაც იმპერიას და „დიდი ოქტომბრის მონაპოვარს“ მისტირის.

მაშ, რა იყო ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც გორბაჩოვის ავტორიტეტს ეფარებოდა, მისი საშუალებით აკავებდა საბჭოთა იმპერიულ ძალებს და აკეთებდა იმას, რაც სურდა დასავლეთს? ეს ძალა იყო ედუარდ შევარდნაძე! შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიოს პოლიტიკოსები ამას კარგად ხედავენ, შემთხვევითია მხოლოდ ის არის, რომ ამას ვერ ხედავენ ქართველები!

ბატონ ედუარდ შევარდნაძის დიდ პოლიტიკაში მოსვლით დაიწყო მსოფლიო დიპლომატიის ახალი ერა, თუ შეიძლება ასე ითქვას, დიპლომატიის ჰუმანიზაციის ერა, მაღალი ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრება. რა თქმა უნდა, ასეთი პრინციპების დამკვიდრება მხოლოდ მას არ მიეწერება, ერთდროულად მოქმედებდა პოლიტიკოსების შესანიშნავი პლეადა: ბუში, ბეიკერი, ტეტჩერი, კოლი, გენშერი, მიტერანი, დიუმა და სხვები. ისინი, რა თქმა უნდა, ერთმანეთზე ზემოქმედებდნენ და ამ ზემოქმედებაში დიდი იყო პირველად საბჭოთა იმპერიის ისტორიაში ღიმილისა და თბილი ადამიანური ურთიერთობის უნარის მქონე საგარეო საქმეთა მინისტრის როლი.

დიპლომატიის ისტორიაში მოვიდა ხანა, როცა სიტყვას ფასი დაედო, მოვიდა ხანა არა მოტყუების, არამედ დარწმუნებისა. ახალი დიპლომატიის ერთი უბრწყინვალესი დიდოსტატი გახლავთ ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

და მაინც ჩიხი?

ედუარდ შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტი დიდად წაადგა საქართველოს. იმ ფაქტს, რომ მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვანმა სახელმწიფომ ცნო საქართველო და ბევრმა უკვე დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა, რომ საქართველო გახდა მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანის — გაეროსი, ჩვენ სწორედ მის დიდ ავტორიტეტს უნდა ვუმადლოდეთ. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ამის გარდა მრავალი შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, მათ შორის მეტად მნიშვნელოვანია რუსეთის ხელისუფლების მიერ ორგზის ოფიციალურად აღიარება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა, რომლის უარყოფა რუსეთს ამიერიდან მხოლოდ მსოფლიოსთან დაპირისპირების ფასად შეუძლია.

და მაინც ჩიხი?

ჩემი ღრმა რწმენით აფხაზეთში გაჩაღებულ ომში ჩიხში იმიტომ კი არ მოვექეცით, რომ რაიმე პოლიტიკური შეცდომა დავუშვით.

ყოველი პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც გადადგა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, სწორი იყო, ითვალისწინებდა თანამედროვე მსოფლიო დიპლომატიის დონეს. მაგრამ არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ არც დღევანდელი რუსეთი, არც მისი ნაწილი — მთიელ ხალხთა კონფედერაცია, არც აფხაზი ექსტრემისტები, არც მათი კოლეგები — ქართველი „ზვიადისტები“, თვით ხიზანი ექსპრეზიდენტის და მისი მასპინძლის ჩათვლით, ამ დონეზე არ დგანან. გამსახურდიას, არძინბას, დუდაევის, შანიბოვის, რუსეთის პარლამენტის დიპლომატიის დონე არ გასცილებია მონღოლი ნოინების, ხაზარების თუ ყიზილბაშების აზროვნების დონეს; ვინც ღონიერია, ის არის მართალი! ამ ნახევრად ველური პოლიტიკოსების იარაღად დღემდე რჩება სიცრუე, სიტყვის გატეხა, მუხანათობა და თვალთმაქცობა.

ამიტომ შეიქმნა ჩიხი! ედუარდ შევარდნაძე მოქმედებდა მეოცე საუკუნის მიწურულის პოლიტიკოსის ხერხებით, რუსეთის პოლიტიკა კი ვერ გასცილდა ჩიჩერინის, ლიტვინოვის, მოლოტოვის თუ გრომიკოს დონეს, რადგანაც მას ჯერ კიდევ ზურგს უმაგრებენ გუშინდელი ავღანელები, ანუ „ინტერნაციონალური ვალის“ შემსრულებელი გენერალი გრომოვი, გენერალი რუცკოი და მათნაირნი.

მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ბატონი ედუარდ შევარდნაძე თვითონ არ შესულა ამ ჩიხში. იგი უთუოდ კარგად ხედავდა, რომ შეუძლებელი იყო მშვიდობიანი მოლაპარაკება რუსეთის იმპერიულ ძალებთან და მათ მარიონეტებთან — მოწკაწკალე არძინბას ფინიების ხროვასთან. ჯერ კიდევ დიდი დრო დასჭირდებათ რუსეთის დიპლომატიას და მხედრიონს, ვიდრე საოცარი გვარის მქონე გენერალ ტოტლებენის დონეს გასცდებიან. ტოტლებენი გერმანულად „სიკვდილ/სიცოცხლეს“ ნიშნავს! სიტყვის გატეხა ძველი რუსული დიპლომატიის ქვაკუთხედია — სიცოცხლეს დაგპირდება და სიკვდილს გიმზადებს. ასე რომ, ჩიხში ჩვენ კი არ მოვექეცით, არამედ — რუსეთის იმპერიული პოლიტიკა. ჩვენ ყველა მშვიდობიანი გზა მოვსინჯეთ, კონსტრუქციული კომპრომისი ვცადეთ. მხოლოდ ერთი გზა დარჩა: სამხედრო ძალით ექსტრემისტთა და დაქირავებულ გადამთიელთა ლიკვიდაცია! ახლა რუსეთი იძულებულია ან განზე გადგეს და საშინაო საქმის მოგვარება გვაცალოს, ან ინფორმაციულ ომს, ცივ ომს არ უნდა დასჯერდეს და ნამდვილი ომი გამოგვიცხადოს (ასეთი მუქარა დაიგრგვინა კიდეც გრომოვმა!). ეს კი ნიშნავს რუსეთის დაპირისპირებას მსოფლიო თანამეგობრობასთან, სადამჰუსეინობას. შეძლებს რუსეთი ცივილიზებული ქვეყნის ნიღბის ახდას?

ვინ ყოფილა ჩიხში, ბატონო უნტერ პრიშიბეევებო?

თავიანთივე დოკუმენტები ამხილებენ

ენას ძვალი არა აქვს

სიძულვილი ადამიანს უფრო სწრაფად უღრღნის სულს, ვიდრე ჟანგი ჭამს ფოლადს. როგორ არ გავიხსენოთ ჩვენი და ჩვენი აფხაზი ძმების ეს სიბრძნე, როცა ვკითხულობთ უკანასკნელ ხანს ავტონომიურ რესპუბლიკაში გავრცელებულ ფურცლებსა და პროკლამაციებს, მეტად და მეტად საეჭვო ღირებულების ყოვლგვარ პუბლიკაციებს. სწორად უთქვამთ, ვინც ერთხელ ტყუილს იტყვის, მას კიდევ ბევრჯერ გაიმეორებს, რადგან სიძულვილით დაბრმავებული შეპყრობილია მისწრაფებით თვალი ამოსთხაროს სხვებსაც. ასპიტის შხამით მოწამლული ეს სიძულვილი დღეს როდი შობილა. მას წლითიწლობით მეთოდიკურად, თანდათანობით ნერგავდნენ აფხაზის კეთილშობილურ სულში, რითაც ძარცვავდნენ და აღატაკებდნენ მას. ყველაზე საზარელი ის არის, რომ ეს სიძულვილი მიმართული იყო თავისი საუკუნოვანი ძმის — ქართველის წინააღმდეგ, რომელთან ერთად მხარდამხარ მიაბიჯებდნენ ცხოვრების საშიშ გზებზე და სწორედ ამ ურთიერთმხარდაჭერის მეოხებით დაამარცხეს დრო, არ დარჩენილან უსახელო ბორცვებად ისტორიაში.

ახლა კი რა მოხდა?

აი რა! აიღეთ გაზეთ „სვობოდნაია აბხაზიას“ ნებისმიერი ნომერი. მას შესანიშნავი სახელი ჰქვია. ასე არ არის? მხოლოდ გვინდა მოვისმინოთ გარკვეული დაზუსტება. რა დონის თავისუფლებაა განსაზღვრული თავისუფალ აფხაზეთში იქ მცხოვრები 250 ათასი ქართველისათვის. იქნებ, მუქ მიხაკისფრად შეფერილმა ავტონომიური რესპუბლიკის ახლანდელმა ლიდერებმა თავიანთი მეტისმეტად ისტერიული ფიურერის მეთაურობით მოამზადეს მათთვის უკვე რეზერვაციები ამ „თავისუფალი“ რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ან ხომ არ ჩაიფიქრეს საერთოდ თავიდან მოიცილონ მეთოდებით, რომლებიც უკვე გამოცდილი აქვთ წარსულის დიქტატორებს. და განა მარტო წარსულ დიქტატორებს, ახლანდელ შესაძლებლობათა დროსაც ეს გამოცდილება შეიძლება არცთუ დიდი ძალისხმევით შემოიტანო ერაყიდან, რასაც, სხვათა შორის, უკვე მიმართავს გენერლის ეპოლეტებიანი ჩეჩნეთის დიქტატორი. სწორედ მისი ლოცვა-კურთხევით აქ მასობრივ თავყრილობებზე „ბაღდადელი ქურდის“ პორტრეტები დიდ პატივშია და მას სხვაგვარად კი არა, თავიანთ იდეურ ბელადს უწოდებენ.

და მაინც, თავისუფალი აფხაზეთი იქნება, მაგრამ ისეთი, რომელსაც ამ რესპუბლიკის თავისუფალი მოქალაქენი ააშენებენ ეროვნების მიუხედავად, უკანასკნელ ხანს აფხაზეთში ლამის პროფესია რომ გახდა: თუ აფხაზი ხარ, ღმერთი იყოს შენი მფარველი, თუ არა — ღმერთმა დაგიფაროს!

ხოლო რაც შეეხება აღნიშნულ ფურცლებსა და პროკლამაციებს, მათ შინაარსზე შეიძლება ვიმსჯელოთ ნიმუშებით, რომლებსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ. ისინი საქინფორმს მოაწოდა სოხუმელმა ჟურნალისტმა ალექსანდრე ბერულავამ.

დავით ლევანიშვილი.

აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქენო!

დღეს, როცა ჩვენს აფხაზეთის მიწა-წყალზე სიკვდილი და ნგრევა მოვიდა, როცა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს არმიის ფორმაში გამოწყობილი შეიარაღებული ბანდიტები ხოცავენ ჩვენს ახლობლებს, ძარცვავენ ჩვენს სახლებს, ბუგავენ მთელ სოფლებს, განსაკუთრებით საჭიროა შევინარჩუნოთ ადამიანური ღირსება, ბრძოლის ნებისყოფა და გამარჯვების რწმენა. მტერი თავს აფარებს ტანკებისა და საბრძოლო ვერტმფრენების ჯავშანს, აღიჭურვა უახლესი იარაღით, მაგრამ მას არ ასცდება სამართლიანი შურისგება. საკადრისად დაისჯებიან მოღალატენიც, ისინიც, ვინც დიდ თუ მცირე დახმარებას უწევს ოკუპანტებს, ვინც დაუზარებლად აბეზღებს იმათ, გუშინ რომ ძმას უწოდებდა!

ქართულ ფაშიზმს გამარჯვება არ უწერია! მტრის განადგურება გარდაუვალია.

მალე დადგება დღე, როცა სამართლიანობა გაიმარჯვებს. მშვიდობა და თავისუფლება დამკვიდრდება შესანიშნავი აფსნის მიწაზე. მოღალატეთა სახელები კი სამუდამოდ ჩაიწერება სირცხვილისა და ღალატის წიგნში!...

აფხაზეთი იყო და არის! იგი იბრძვის საკუთარი სუვერენული უფლებებისათვის. წმიდათაწმიდა უფლებისათვის, აფხაზი ხალხის პოლიტიკური თვითგამორკვევისათვის.

ჩვენი საქმე სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთ!

აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი

1992 წლის 20 სექტემბერი,
ქ. გუდაუთა, აფხაზეთის რესპუბლიკა.

მიმართვა აფხაზეთის რესპუბლიკის ხალხს!

ძვირფასო თანამემამულენო!

1992 წლის 14 აგვისტოს ჩვენს სამშობლოს — აფსნის ვერაგულად დაესხა თავს საქართველო.

ბანდიტური ფორმირებანი, რომელთა საფუძველს შეადგენენ დამნაშავე ელემენტები, ნარკომანები, პროფესიონალი მკვლელები, რეკეტირები, ომის გამოუცხადებლად შემოიჭრნენ აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მოახდინეს გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის რაიონების, დაბა გეჩრიფშის (ლესელიძე) და აფხაზეთის რესპუბლიკის დედაქალაქ სოხუმის ოკუპაცია.

აგრესიის იდეურ სულისჩამდგმელებსა და ორგანიზატორებს შევარდნაძეს, იოსელიანს, კიტოვანსა და ადოლფ ჰიტლერის მსგავს მათ თანამებრძოლებს იმედი ჰქონდათ, რომ ერთ დღე-ღამეში განახორციელებდნენ აფხაზეთის სრულ ოკუპაციას!

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდლის გენერალ პატრიკეევის მიერ მიცემული ზეთანამედროვე საბრძოლო ტექნიკით თავით ფეხამდე შეიარაღებული ფორმირებები თავს დაესხნენ მშვიდობიან მოსახლეობას, დაუშინეს ტანკების, მძიმე ქვემეხების, ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლი, რაკეტები ბომბავდნენ ჰაერიდან საცხოვრებელ სახლებს, საზოგადოებრივ შენობებსა და დაწესებულებებს, აფხაზური ეროვნული კულტურის კერებს! აფხაზეთის მიწა თავისი შვილების სისხლით მოირწყა.

თითოეული ჩვენგანის გული აღსავსეა ტკივილით ძვირფას ადამიანთა დაკარგვის გამო. იგი მოგვიწოდებს ერთიანობისათვის, შურისგებისათვის. ჩვენს სახლებში მოსული ფაშისტი ბარბაროსები, რომლებმაც დაარღვიეს ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება, შეურაცხყვეს ჩვენი ღირსება, ფეხქვეშ გათელეს სრულიად კავკასიური პრინციპები და საკაცობრიო ნორმები, ვერ აიცილებენ თავიდან პასუხისმგებლობას აფხაზი ხალხის, აფხაზეთში მოსახლე ხალხების, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი ბოროტებისათვის.

ამის დასტურია მზარდი სოლიდარობა აფხაზი ხალხის ბრძოლისადმი განთავისუფლებისათვის, საქართველოს ფაშისტურ რეჟიმთან ბრძოლაში აფხაზეთის ხალხთან მოძმე მთიელ ხალხთა გაერთიანებისათვის!

აღსდექით, ძმებო, მეოცე საუკუნის ინტერვენტ-ბარბაროსებთან საბრძოლველად, რომლებიც გამოცვივდნენ ფაშისტური ბუნაგიდან! დაე, ჩვენი ბრძოლა გახდეს საერთო-სახალხო, განმათავისუფლებელი, და დაე აფხაზეთის მიწა ოკუპანტთა ფეხქვეშ იწვოდეს! ახლოვდება განთავისუფლების ჟამი. ბოლოს მოვუღებთ ქართულ ფაშიზმს და დავუბრუნდებით მშვიდობიან ცხოვრებას. მაგრამ არასოდეს არ დავივიწყებთ იმათ, ვინც სიცოცხლე შესწირა ჩვენი სამშობლოს — აფსნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას! არასოდეს არ დავივიწყებთ ჯალათებსაც, რომელთა ავანტიურა აფხაზ ხალხს ესოდენ ძვირად დაუჯდა!

სიკვდილი ფაშისტ ოკუპანტებს!

სიკვდილი საქართველოს ფაშისტურ დიქტატურას!

გაუმარჯოს აფხაზეთის თავისუფალ და დამოუკიდებელ რესპუბლიკას!

აფხაზეთის სახალხო პარტია

1992 წლის 20 სექტემბერი,
ქ. გუდაუთა, აფხაზეთის რესპუბლიკა.

სიმართლეს ვერ გაექცევი

დაქირავებული მკვლელი აღიარებს

ერთ-ერთმა მკვლელმა დაღესტნელმა მაგომედ მაგომედოვმა, რომელიც ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა, ახსნა-განმარტებაში საკუთარი ხელით დაწერა თუ... როგორ მოდიოდნენ მათთან აფხაზეთის სახალხო პარტიის წარმომადგენლები და მადლობას ეუბნებოდნენ დახმარებისათვის...,„გპირდებოდნენ, გამარჯვების შემდეგ ქართველებს რომ გავრეკავთ აფხაზეთიდან, მათ სახლებში თქვენ ჩაგასახლებთო“.

სურათზე: დაქირავებული მკვლელი მაგომედ მაგომედოვი დაკითხვაზე.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ახალი ესტონეთის პირველი პრეზიდენტი

ესტონეთის რადიომ და ტელევიზიამ ქვეყანას აუწყეს, რომ პარლამენტის სხდომაზე პირდაპირი ფარული კენჭისყრით დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად არჩეულია ლენარტ მერი.

ლენარტ მერი დაიბადა 1929 წლის 29 მარტს, მწერალია. 1990 წლის 11 აპრილიდან 1992 წლის 6 აპრილის ჩათვლით ესტონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდეგ ფინეთში ესტონეთის ელჩი იყო. პრეზიდენტის არჩევნებში კენჭს იყრიდა „ისმაას“ (მამული) ბლოკისაგან.

ოფიციალურ ვიზიტად

დაიწყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის, კლაუს კინკელის როგორც გერმანიის საგარეო პოლიტიკის უწყების ხელმძღვანელის, პირველი ოფიციალური ვიზიტი მოსკოვში. გერმანელ მინისტრს მიიღებს რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, რუსეთის პარლამენტის თავმჯდომარე რუსლან ხასბულატოვი, ორჯერ შეხვდება თავის რუს კოლეგას ანდრია კოზირევს.

ახლანდელი ვიზიტი დაგეგმილია, როგორც მოსამზადებელი ეტაპი რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინისა და გერმანიის კანცლერის ჰელმუტ კოლის უმაღლესი დონის შეხვედრისა, რომელიც მოსკოვში შუა დეკემბერში უნდა გაიმართოს. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განიხილავენ რუსეთში გერმანელი უმცირესობის მდგომარეობას.

ამერიკის კონგრესმა მოიწონა პენტაგონის ბიუჯეტი

ორშაბათს ამერიკის კონგრესის ორივე პალატამ მოიწონა სამხედრო უწყების 1993 საფინანსო წლის ბიუჯეტი 254 მილიარდი დოლარის ოდენობით. ახლა მას პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა უნდა მოაწეროს ხელი. კანონპროექტი, კერძოდ, ითვალისწინებს „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ პროგრამისთვის 4,05 მილიარდ დოლარს, 2,7 მილიარდ დოლარს რადარებისათვის „უხილავი“, სტრატეგიული ბომბდამშენის „სტელსის“ შესაქმნელად. გადაწყდა 1996 წლისთვის ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვი ევროპაში 100 ათას კაცამდე შეამცირონ.

პრემია ვერონიკა კასტროს

მექსიკის პრეზიდენტმა კარლოს სალინას დე გორტარიმ ცნობილ მსახიობს ვერონიკა კასტროს გადასცა პრემია „ანტენა“, როგორც 1992 წლის ტელეწამყვანს. მუსიკალური სატელევიზიო შოუ, რომელიც ყოველ კვირას მიჰყავს ვერონიკას, აღიარებულია საუკეთესოდ მექსიკის რამდენიმე ათეულ გასართობ პროგრამებს შორის.

თითო აბზაცით

● **ინდოეთში** გამოაცხადეს საჰაერო სამხედრო სასწავლებელში ქალების მიღება. მხედველობაში აქვთ რა სამხედრო პილოტის პროფესიის დიდი რისკი, ქალებს ჯერჯერობით სატრანსპორტო ილ-76 და ვერტმფრენის მართვას ანდობენ. შემდეგ მათ შორის საუკეთესოებს თანამედროვე გამანადგურებლების პილოტებად შეარჩევენ.

● **ლუქსემბურგში** ევროპის გაერთიანებათა საბჭოს სესიის მონაწილე 12 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მხარი დაუჭირეს ბოსნია-ჰერცეგოვინის ზონის შექმნას, რომელიც დახურული იქნება მოწინააღმდეგე ძალების თვითმფრინავებისთვის.

● **როგორც** საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი გამოკითხვით დადგინდა, ტელეგადაცემები ისე დამკვიდრდა ამერიკელთა ცხოვრებაში, რომ გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა გამოთქვა მზადყოფნა უარი თქვას უყუროს ტელეგადაცემებს იმ შემთხვევაში, თუ მისცემენ სულ ცოტა მილიონ დოლარს.

● **გუშინ** დანიის ალტინგის (პარლამენტი) დეპუტატები შეიკრიბნენ სესიის ოფიციალურ გახსნაზე, რომელსაც ტრადიციულად დედოფალი მარგარეტ II ესწრება. განიხილავენ საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხთა ფართო წრეს.

ია კალანდარიშვილი,
„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური კორესპონდენტი.

ყველას სატკივარი ერთია

დღეს აფხაზეთში საქართველოს ბედი წყდება

მანამდე კი ასე იყო:

ნიუ-იორკიდან გაეროს სხდომაზე გამოსვლის შემდეგ ედუარდ შევარდნაძე მოსკოვში გზად გაივლის და ბორის ელცინს გაახსენებს 3 სექტემბრის ხელშეკრულების პირობებს. ამას გამოიწვევს აფხაზეთში შექმნილი საგანგებო ვითარება.

1 ოქტომბერს სოხუმში კონტროლისა და ინსპექციის კომისიის რიგით მეექვსე სხდომა გაიმართება, რომელიც თავისი მუშაობის უმეტეს დროს დღის წესრიგის შეთანხმებას მოანდომებს. საბოლოო შეთანხმებიდან სოხუმში ვითარების სტაბილიზაციის მიზნით სამმხრივი კომისიის დროებითი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცება, ამ ჯგუფის ძირითადი ამოცანები და უფლებამოსილების განმტკიცება; სამხედრო საკითხებზე წინადადებების განხილვა-დამტკიცება. შესაძლებელია, ამ სხდომამ სასიკეთო შედეგი გამოიღოს...

კომისია უკვე მუშაობდა, როცა სოხუმის მილიციის უფროსს პოლკოვნიკ თენგიზ რაფავას შეატყობინეს, მძიმე ტექნიკამ ქალაქ გაგრას შეუტია, ჩვენი პოზიცია გაარღვია და ქალაქის მიმართულებით დაიძრა, არის მსხვერპლი. იწვის სახლები და ნავთობბაზა.

დასკვნა: კონფედერაციის ძალებმა უხეშად დაარღვიეს ადრე მიღებული ხელშეკრულების პუნქტები. განახორციელეს ფართომასშტაბიანი პროვოკაცია ყველა საბრძოლო სახეობის ტექნიკის გამოყენებით, რომლის მიზანიც იყო ქალაქ გაგრის ხელში ჩაგდება.

კომისია შეწყვეტს მუშაობას. მონაწილეთა მთელი შემადგენლობით გაემგზავრება გუდაუთაში, შემდეგ კი გაგრაში სიტუაციის ადგილზე შესწავლის მიზნით. რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობს იური ვორონცოვი, რუსეთის საგანგებო სიტუაციების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. საქართველოს დელეგაციიდან — ალექსანდრე კავსაძე, გია ყარყარაშვილი, გივი ლომინაძე, გოჩა პიჩაძე; აფხაზეთის მხრიდან გუდაუთაში ჩაერთვება ვლადისლავ არძინბა.

აი, რას იტყვის ჟურნალისტებთან გამართულ პრესკონფერენციაზე ალექსანდრე კავსაძე:

— არძინბამ ბრალი დასდო ქართულ მხარეს შეტევის განხორციელებისათვის. მან აფხაზთა მოქმედებას კონტრშეტევა უწოდა. მოლაპარაკების შედეგად ჩემი დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად (ვიცოდი იგი ძნელი შესასრულებელი იყო და არც შესრულდებოდა), მაინც შედგა კომისიის ოქმი, რომელსაც „დასამშვიდებლად“ არძინბა და ვორონცოვიც აწერენ ხელს. ოქმის მიხედვით 1 ოქტომბრამდე მხარეების საჯარისო ნაწილები საწყის პოზიციებზე უნდა დაბრუნებულიყვნენ, მეორე დილის 9 საათამდე და აღდგებოდა სტატუს-კვო. ვაცხადებ, რომ არავითარი ხელშეკრულება ჩვენ არ დაგვირღვევია. კომისიის ოქმების მიხედვით ჯერ გუმისთასთან მოვახდინეთ მოწინააღმდეგე მხარეების დაშორიშორება. რაც შეეხება ბზიფის ხეობას, იქიდან ათასი კაცი მარტო პოლიციის პირადი შემადგენლობა გამოვიყვანეთ, აგრეთვე სამხედრო ფორმირებები, და ხეობაში 300 კაცი დავტოვეთ. ასევე უნდა მოქცეულიყო აფხაზთა მხარე. ამ საკითხზე სამჯერ შეიკრიბა კომისია. გუდაუთის მოლაპარაკების შემდეგ გივი ლომინაძე, გოჩა პიჩაძე და მე გაგრაში გავემგზავრეთ. გზაში დაახლოებით ღამის პირველიდან ორის ნახევრამდე ბაზიდან ცეცხლს გვიშენდნენ. მესაზღვრეების მეშვეობით გუდაუთას დავუკავშირდით, მაგრამ ჩვენთან დალაპარაკება არავინ ისურვა...

...მთელი ღამე გრძელდებოდა ბრძოლები.

2 ოქტომბერი, პარასკევი.

სინოპში აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა შტაბში არ წყდება ტელეფონის ზარები. ერთ შემაშფოთებელ ცნობას მეორე ემატება, მესამე, მეოთხე... მთელი სოხუმი ფეხზე დგას, თუმცა ჯერჯერობით დილაადრიანად მას საფრთხე არ ემუქრება. პანიკა თანდათან ედება ქალაქს. დაუზუსტებელი ცნობით გაგრას მამზიშთის მხრიდან, ზღვიდან და ტრასიდან უტევენ. აღებულია პოლიციის შენობა, აფხაზ სეპარატისტთა და მთიელთა კონფედერაციის ძალები შემოჭრილები არიან სადგურში. ჭორი გავრცელდა, გაგრის საავადმყოფოში მოთავსებულ წინა დღით დაჭრილ ქართველ მებრძოლებს ჩეჩნები ადგილზე კლავენო, მაგრამ აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრის მერი ჯანგულაძის ცნობით მათი ევაკუაცია მთელი ღამე მიმდინარეობდა და არც ერთი დაჭრილი, გარდა ორი მძიმე ავადმყოფისა, გაგრის საავადმყოფოში დილისთვის აღარ იმყოფებოდა.

...ადლერი უფლებას არ აძლევს ქართველთა ავიაციას დაჭრილების ჩამოსაყვანად მისი აეროპორტით ისარგებლოს. იგი გუდაუთის ზონის „კონტროლს“ მოიმიზეზებს. მხოლოდ ედუარდ შევარდნაძესთან შეთანხმების შემდეგ თბილისიდან სპეციალურად დაჭრილებისათვის განკუთვნილი „ტუ-154“ ასრულებს დაფრენას.

12 საათი და 40 წუთი.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატს აკაკი გასვიანს პირველს ატყობინებენ, რომ კონფედერაციის ჯარებმა ჟოეკვარამდე — ქალაქ გაგრის დასავლეთი ნაწილი, — დაიკავეს.

18 საათი და 48 წუთი.

ჩვენები ლესელიძის მიმართულებით იხევენ. ბრძოლებში კატეგორიულად გამოთიშულია ჰაერი.

ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთის“ დეპუტატთა ერთი ჯგუფის თანდასწრებით აფხაზეთის მხედრიონის სახელით ბორის კაკუბავა ტელეფონით უკავშირდება ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. მოკლე საუბრის შემდეგ ჩვენთვის გასაგები ხდება, რომ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე დღის მეორე ნახევარში უკვე სოხუმში იქნება.

საგანგებო ამბების ნიაღვარმა წაგვლეკა. რამდენი მკვლელობა, ძარცვა, მკვლელობის ფაქტი შეგვატყობინეს: სოხუმ-ოჩამჩირის სამგზავრო ავტობუსი დაუცხრილავთ, სოფელ კოჩარასთან სროლა ყოფილა, პანიკაა ოჩამჩირეში, ნაწილობრივ ტყვარჩელშიც, დაქირავებული მკვლელების მიერ აწიოკებული მოსახლეობა გამორბის ცეცხლმოკიდებული და დანგრეული სახლებიდან, ხოცავენ გაგრის მშვიდობიან მოსახლეობას. „ბართლომეს ღამის“ ალყაში მოქცეულ მამას ორი პატარა ბავშვი ხელში აუყვანია და ისე წამოსულა მტრისაკენ იმედით — დაინახავენ, იარაღი რომ არ მიჭირავს ხელში და ეგებ შვილები მაინც დაინდონო. არ შეუწყალებიათ ურჯულოებს! რისი ვაივაგლახით ახერხებენ ფუძემორღვეული და ნათესავდაკარგული ადამიანები „სამშვიდობოს“ გასვლას. თვითმხილველი შეიქნა და ბევრიც აღბეჭდა ფირზე კინოდოკუმენტალისტმა თემურ ბაქრაძემ, რომელსაც ძლივს გამოუღწევია ტყვეობიდან. ერთ სიცოცხლეს გაათავებდა კაცი მისი მონათხრობისთვის რომ მოესმინა.

18 საათი.

ედუარდ შევარდნაძე სოხუმში ჩამოვიდა. სინოპში იგი გენერალ კონდრატიევს და აფხაზთა სამხედრო შენაერთების მთავარსარდალს ვიქტორ კაკალიას შეხვდა. კონდრატიევთან შეხვედრას შევარდნაძემ შედეგიანი უწოდა ურთიერთგაგების თვალსაზრისით. შეხვედრის შემდეგ კონდრატიევი, კაკალია, კავსაძე, ხაინდრავა გუდაუთას მიემგზავრებიან...

დასკვნა: 2 ოქტომბერს დილით აფხაზთა მხარემ დაარღვია წინა ღამით გუდაუთაში მიღწეული შეთანხმება და უფრო დიდი ძალით შეუტია გაგრის მისადგომებს. მოგვიანებით კი მოახერხა ქალაქის სიღრმეში შეჭრაც, რასაც აურაცხელი მსხვერპლი მოჰყვა სამხედრო ძალებსა და მშვიდობიან მოსახლეობაში.

3 ოქტომბერი, შაბათი.

14 საათზე სოხუმის აეროპორტიდან განთიადში გაფრინდნენ შევარდნაძე, კავსაძე, ლომინაძე, სალარიძე. ისინი განთიადში შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, გაგრიდან ჩამოსულ ლტოლვილებს და განთიად-ლესელიძის ზონაში მყოფ სამხედრო ფორმირებებს.

საღამოს ვერტმფრენები საქართველოს დელეგაციის წევრებთან ერთად უნდა გაფრენილიყო სოხუმისკენ. აეროპორტში მათ შეატყობინეს, რომ ფრენის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფდნენ. მაგრამ ჩვენი დელეგაცია მაინც გაემგზავრა. დაახლოებით 10 წუთის შემდეგ სახელმწიფო საბჭოს მრჩეველმა დავით სალარიძემ ყურადღება ერთ-ერთ ვერტმფრენს მიაქცია, როცა მან სახიფათო მანევრების გაკეთება დაიწყო. ვერტმფრენს არ ჰქონდა საცნობი ნიშნები. მგზავრებისათვის კინაღამ საბედისწერო გახდა ვერტმფრენის თავზე მეორე ვერტმფრენის მოქცევა, პროპელერის ტრიალით შექმნილმა ვაკუუმმა უმართავი გახადა იგი. 30 გრადუსით წინ დახარა და ზღვისკენ დააქანა. თუ არა ეკიპაჟის გამოცდილება, ცნობილი „ჯიმი“, რომელიც წინ დასაცავად მიუძღოდა ესკორტს, მგზავრებს ვერაფერი იხსნიდა.

ეს ფაქტი სოხუმში ცნობილი გახდა შაბათ საღამოს. აქ მყოფი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ბორის პასტუხოვისთვის, რომელმაც გადაწყვიტა ადლერისაკენ გაფრენილიყო. რათა ედუარდ შევარდნაძეს ადლერის აეროპორტში შეხვედროდა. ედუარდ შევარდნაძე ესაუბრა იური ვორონცოვს და რუსეთის სხვა წარმომადგენლებს.

შაბათს, 23 საათზე საქართველოს სამთავრობო დელეგაცია თვითმფრინავით ადლერიდან სოხუმს დაბრუნდა. ნაშუაღამევს სოხუმში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის რეზიდენციაში შევარდნაძემ მისცა ინტერვიუ აქ მყოფ ქართველ და უცხოელ ჟურნალისტებს. ინტერვიუ ტელევიზიით გადაიცა.

4 ოქტომბერი, კვირა.

სოხუმის მთავარ მოედანზე მიტინგია.

შეწუხებულია ხალხი...

— მშვიდობა გვინდა შვილო, ერთად დგომა და სიყვარული. არძინბას მხარს ვუჭერდით. აფხაზეთში შევიქეცით, ყველა მიტინგს ვესწრებოდი და მათთან ერთად ვიბრძოდი. არძინბა გვეუბნებოდა, მაგათ რაც უნდა თქვან, ჩვენ ჩვენი ვაკეთოთო. მაგრამ ახლა რაღა გამოვიდა, გვიორპირეს, თავს ლაფი დაგვასხეს. სწორია გროზნოში იმის საქციელი?! ჩვენ აქ ერთმანეთს წავეკიდეთ, იქიდან მტერი მოგვესია. არ ყოფილა ეს კაცი ქართული სისხლის. მე და ჩემი მეზობლები ერთსულოვანი ვიყავით მის მიმართ, ახლა კი არჩევნების ჩატარებას ვითხოვთ. თუ არ გამოგვივა რამე, მაშინ აქვე ჩაგვქოლონ. — გვარს ნუ იტყვი, დედა, ინვალიდი ვარ, პენსიონერი.

— მთავრობამ შეცდომა მაშინ დაუშვა, გუდაუთისკენ გზა რომ არ გააგრძელა და დიალოგის გზას ენდო, დღესაც ანალოგიურ შეცდომას იმეორებს. მე მოვუწოდებ მას — ერთადერთი გამოსავალია მხოლოდ ბრძოლა — ამბობს მარინე ხინთიბაია — პედაგოგი.

— გავერთიანდეთ უნდა, გაჭირვება ყველასია. მთავრობამ მიიღოს სწორი გადაწყვეტილება, რაიმე სხვა ზომები, თორემ შვილები დაგვიხოცეს — შემოგვეტირის ნაილი გაბისონია, — დიასახლისი.

— იარაღი ჩამოართვით ბანდიტებს და ნამდვილ მეომრებს დაურიგეთ. დაგვიქვემდებარონ ერთიან სამხედრო ხელმძღვანელობას და კომენდანტის დასტურით გვიჩვენონ ჩხრეკის უფლება ამდენმა „დაუპატიჟებელმა სტუმრებმა“ რომ შეგვაწუხა — ეს თინა აკიშბაია — დიასახლისი.

— თუ კარგი მთავრობაა, გააერთიანოს დაქუცმაცებული საქართველო. თუ არადა — გადადგეს. იარაღი „პაცნებს“ მისცეს, რატომ, ჩვენისთანა ნამდვილ პატრიოტებს უნდათ სწორედ იარაღი. სანამ ეს არ მოგვარდება, ახლა არჩევნების დრო არ არის. — აღშფოთებულია ზელიმხან ფანცულაია — ინჟინერი.

...ქუდზე კაცს ითხოვდნენ მიტინგზე გამოსულები, ქართველი დედის როლზე ლაპარაკობდნენ მანდილოსნები, საქართველოსთან სამეგრელოსა და აფხაზების ერთიანობას, მიწისა და ცის დაცვას ლამობდნენ აფხაზეთის მკვიდრნი. მიტინგზე გამოდის ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

იმავე საღამოს ბატონი ედუარდ შევარდნაძე თბილისში დაბრუნდა.

როგორც საქართველოს რესპუბლიკის აფხაზეთის საკითხთა სახელმწიფო მინისტრმა და სახელმწიფო საბჭოს საგანგებო წარმომადგენელმა აფხაზეთში გოგი ხაინდრავამ გვაცნობა, შეიქმნა მთავარი შტაბი. იგი დისლოცირებული იქნება სოხუმში. აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ყველა სამხედრო სამსახური და ფორმირება დაექვემდებარება ერთიან შტაბს, ერთიან სარდლობას, რომლის ხელმძღვანელად დანიშნულია თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ავთანდილ ცქიტიშვილი. გაგრის ზონაში მყოფი სამხედრო შენაერთის სარდლად დაინიშნა გია ყარყარაშვილი. იქ იქნება იგი განუწყვეტლივ. შეიქმნა სამხედრო საბჭო, რომელიც ხელმძღვანელებს და გასცემს საერთო განკარგულებებს. ჩატარდება მობილიზაცია, შეიქმნება სამოქალაქო თავდაცვის ჯგუფები, რომლებიც ერთიან ხელმძღვანელობას დაემორჩილება.

კარიკატურისტის კომენტარი



მხატვარი მურთაზ აბაშიძე



კვლავაც თქვან: „რა ხელმა ააგო!“

გარდაბანში დაესრულა ღვთისმშობლის შობის საეკლესიო კომპლექსი

დავით ბიწაძე

ამ ეკლესიის მშენებლობას სამიოდე წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. ეს აქაურ მართლმადიდებელ ქრისტიანთა რელიგიური საზოგადოების ნება იყო. მშენებლობის საკითხის გადაწყვეტას კი თითქმის ათი წელი დასჭირდა.

ცოდვას ვერ ვიტყვით: რაიონის მაშინდელმა თავკაცებმა — ჯერ ოთარ ბოკერიამ, შემდეგ ავთანდილ მარგიანმა, რევაზ ონიანმა, აგრეთვე ცეზარ მოსიძემ, გურამ ფირცხალაიშვილმა და სხვებმა ძალისხმევა არ დაიშურეს, რათა სათანადო ორგანოებიდან მშენებლობის ნებართვა მიეღოთ და მორწმუნეთა სურვილი დაეკმაყოფილებინათ, მაგრამ ყველაზე მეტი მაინც ადგილობრივმა სამეურნეო მუშაკმა, ცეკავშირის „ხვავის“ ფირმის დირექტორმა მაყვალა კიკაბიძემ „იომა“. რომ იტყვიან, მაყვალამ რკინის ქალამნები ჩაიცვა და სხვადასხვა ინსტანციაში იარა, რომ აზვირთებული ეროვნული მოძრაობა არა, შესაძლოა ამ ენთუზიაზმიდანაც არაფერი გამოსულიყო.

მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი წყდებოდა საქართველოს საპატრიარქოში. იქვე დამტკიცდა კომპლექსის პროექტი. მასში შერწყმულია ქართული ხუროთმოძღვრებისა და ეკლესიათმშენებლობის საუკეთესო ტრადიციები. საფუძვლად მაინც სამთავისის ეკლესიის არქიტექტურული ანსამბლის შედევრი დაიდო, მხოლოდ მოცულობა მასთან შედარებით გარკვეულწილად შემცირებულია.

კომპლექსის მშენებლობა იმ მწირი თანხებით დაიწყო, რომელიც მაყვალა კიკაბიძის ქალიშვილის მარინე ღუდუშაურის ინიციატივით შეაგროვეს გარდაბნელმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა. შემდგომში შემოწირულობათა გეოგრაფია გაიზარდა. აგროსამრეწველო ბანკის გარდაბნის განყოფილებაში თბილისის სახელმწიფო ელექტროსადგურის კოლექტივმა 100 ათასი მანეთი ჩარიცხა, ასევე სოლიდური თანხები გაიღეს ცეკავშირმა, მარნეულის პურპროდუქტების ბაზამ, ლილოს საკონსერვო ქარხანამ, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტმა“, გარდაბნის აკუმულატორების საწარმომ, რუსთავის, გარდაბნის, სამტრედიის, ხობის ადგილობრივი მმართველობის გამგეობებმა, ცალკეულმა მორწმუნეებმა. ცეკავშირის გარდაბნის ფირმა „ხვავმა“ თავისი მოგებიდან სამი მილიონი მანეთი ამ კეთილშობილურ საქმეს მოახმარა. მშენებლებს საშენი მასალა მიაწოდეს რუსთავის მეტალურგიულმა კომბინატმა, ცემენტისა და ამწესაშენებელმა ქარხნებმა, რესპუბლიკის სხვა სამრეწველო საწარმოებმა. ეს არის უნიკალური ნაგებობა, რომლის სადარი სულიერი განწმენდის ადგილი საქართველოში არ შექმნილა მთელი ორი საუკუნის განმავლობაში.

ეკლესია გარედან მოპირკეთებულია ბოლნისის ტუფით, შიგნიდან კი ქართული მარმარილოთი და ბაზალტით, შენობა გადახურულია ძვირფასი ფურცლოვანი სპილენძით, კედლები შელესილია თაბაშირით. საეკლესიო ხუროთმოძღვრების კანონების შესაბამისად, ეკლესიის კედლები ორი წლის შემდეგ მოიხატება.

შაბათს, 3 ოქტომბერს ტაძარმა სტუმართმოყვრულად გაუღო კარი თავის მრავალრიცხოვან მრევლს. კვირა დილით კი წირვა აღავლინა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. შემდეგ გაიმართა ნათლობა, ჯვრისწერა.

ზეიმმა კომპლექსის ეზოში გადაინაცვლა. ათასობით აქ მოსულს ის მნიშვნელოვანი მოვლენა მიულოცეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, გარდაბნის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ ნუგზარ მამალაძემ, საქართველოს სახალხო არტისტმა გოგი ხარაბაძემ კეთილი სიტყვებით მოიხსენიეს ისინი, ვინც ააშენა და დაამშვენა ეს შესანიშნავი ტაძარი.

„საქსოფლმშენი“ და მისი მესვეური დემურ კოზირიძე, მისი პირველი ტრესტის (მმართველი — თემურ ჩარკვიანი) 37-ე მოძრავ-მექანიზებული კოლონა (უფროსი — იური ჭოლოკავა), სამუშაოთა მწარმოებელი გიორგი კობერიძე და ცალკეული რიგითი მშენებლები აქ მშენებლობის დაწყების პირველი დღეებიდან იღვწოდნენ, კანონიკური წესების დაცვას ზედამხედველობს პატრიარქის ქორეპისკოპოსი მიტროპოლიტი კონსტანტინე. მშენებლებს აღაფრთოვანებდა კეთილი მისია — მათი ნახელავი საქართველოს უძველეს მიწაზე საუკუნეების მანძილზე იქნება სულის განსაწმენდი წმინდა ადგილი. მშენებლობაზე ვხვდებოდით ენთუზიასტებსაც. ინტელიგენციის წარმომადგენლები დავით ლექიშვილი, გედევან გოგნიაშვილი და სხვები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს მის წარმატებას. რაიონის ადგილობრივმა ორგანოებმა ნამდვილად თავი დადეს ამ პატრიოტული მშენებლობისათვის.

საეკლესიო კომპლექსის პროექტის ავტორია არქიტექტორი გოგი სულაბერიძე, გუმბათის პროექტი ეკუთვნის დავით ჭურაძეს, ღვთისმშობლის ხატის ესკიზი შექმნა გურამ მღებრიშვილმა, კანკელის ხატებისა — გია ხელაძემ. ეკლესიის ზარებიც საგანგებოდ დაუმზადეს. დიდი გემოვნებით შეუსრულებია ჭაღის, ბრებისა და შანდლების ესკიზები დავით ჭურაძეს.

საქართველოსათვის ამ ძნელბედობის ჟამს ღვთისმშობლის ეკლესიამ, რომელიც გარდაბანში დაასრულა, დიდი როლი უნდა შეასრულოს ჩვენის აღორძინების, ერის გამთლიანების, მისი სულიერი და მორალური განწმენდის საქმეში.

სურათზე: გარდაბნის ახალი ეკლესია აკურთხა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ნობათი სამაჩაბლოს სოფლისათვის

გორის რაიონის შავშვებისა და ნაწრეტის ექსპერიმენტული მეურნეობების ოსი ეროვნების მუშებმა რომ გაიგეს, ხორბალს ნობათად სამაჩაბლოს ქართულ სოფელში გზავნიანო, დამხმარედაც კი არავინ გაიკარეს — საწყობში საუკეთესო ჯიშის მარცვალი შეარჩიეს და ორივე მეურნეობის 10 ტონა ხორბალი თავად დატვირთეს მანქანებზე.

იმავე დღეს ხორბლით დატვირთული ავტომანქანები ცხინვალში დაბანაკებული სამშვიდობო ძალების თანხლებით ხეითში შევიდა. სოფლელებმა მადლობა გადაუხადეს შავშვებისა და ნაწრეტის მეურნეობების თავკაცებს ნიკოლოზ ურჩუმელაშვილსა და მერაბ ტატურაშვილს, დავით აღმაშენებლის საზოგადოების გორის რეგიონული საზოგადოების თავმჯდომარეს ზურაბ წკრიალაშვილს დახმარებისა და თანადგომისათვის.

გურამ ვაშაკიძე,

მადლობა ქართულ საზოგადოებრიობას

ბათუმის სინაგოგის შენობა ქალაქის ებრაულ საზოგადოებრიობას გადაეცა.

— ამ დღეებში ჩვენ ორმაგი სიხარული განვიცადეთ, — თქვა ქართველ-ებრაელთა ურთიერთობის ბათუმის ასოციაციის პრეზიდენტმა ემილ კრუპნიუკმა, — ჯერ ერთი, გაიმარჯვა სამართლიანობამ, და სინაგოგა, ბოლოს და ბოლოს, იმის საკუთრება იქნება, ვისაც უნდა ეკუთვნოდეს. მეორე, ეს მოვლენა დაემთხვა როშ ხა-შანის — ებრაული ახალი 5753 წლის დღესასწაულს.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ქართველ-ებრაელთა ურთიერთობა 26 საუკუნეს ითვლის, და მთელი ამ პერიოდის მანძილზე ებრაელობა საქართველოში არასოდეს არ დაუჩაგრავთ. უდიდესი მადლობა ქართულ საზოგადოებრიობას და აჭარის ახლანდელ ხელმძღვანელობას გაწეული მხარდაჭერისა და დახმარებისათვის.

რაც შეეხება შენობას, იგი მეოცე საუკუნის დამდეგს ააშენა საქართველოში ცნობილმა არქიტექტორმა სიმონ ვოლკოვიჩმა. შემდეგ გასაგები მიზეზების გამო სინაგოგა გაუქმდა, აქ მრავალი ათწლეულის მანძილზე სპორტული საზოგადოება იყო, რა თქმა უნდა, განვახორციელებთ აღდგენით სამუშაოებს, რასაც დასჭირდება დროც და სახსრებიც. ვფიქრობ, აღორძინებული სინაგოგა ჩვენი მხარის კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრი გახდება.

თამაზ ბენძეხაძე.

საქართველოს თავდაცვის ფონდში

თელავის რაიონში გრძელდება ფულადი სახსრების გადარიცხვა საქართველოს თავდაცვის ფონდში.

— ოღონდ ჩვენი ქვეყანა თავისუფალი და დამოუკიდებელი ვიხილოთ, გვერდში ვედგებით სამშობლოს დამცველ ჯარისკაცებს — ასეთია თელავის სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა აზრი. ამ დღეებში ფაბრიკის კოლექტივმა აღნიშნულ ფონდში 320 ათასი მანეთი გადარიცხა. საწარმოს მუშა-მოსამსახურეებმა, პირადი დანაზოგიდან, დამატებით, კიდევ 33 ათასი მანეთი გადარიცხეს ანგარიშზე.

ზურაბ არსენიშვილი.

ამინდი

წვიმა. ქარი. თოვლი მთებში

შემოდგომა სულ უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ამაში კი მას ხელს უწყობს ცივი ჰაერის მასები, რომელთაც დაიწყეს შემოსვლა შავი ზღვის მხრიდან. მთელ სანაპიროსა და კოლხეთის დაბლობზე წვიმიანი ამინდია. ღრუბლებმა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებშიც გადაინაცვლეს. დღეს თუ არა ხვალ, როგორც სინოპტიკოსები გვატყობინებენ, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ამოვარდება ქარი, რომელსაც წამში 9-14 მეტრი სიჩქარე ექნება.

ავდარმა, თქვა საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების განყოფილების წამყვანმა ინჟინერმა მარიამ ალექსიშვილმა, რა თქმა უნდა, გამოიწვია ჰაერის ტემპერატურის დაცემა. მომავალი კვირის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს ბარში დღისით ტემპერატურა არ აიწევს პლუს 22, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — 23 გრადუსის ზევით.

აბიტურიენტებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას!

ფართო მკითხველ საზოგადოებას, ყველას, ვისაც საქართველოს ისტორიის შესწავლა აინტერესებს, ვისაც სურს უმაღლესში შესასვლელი გამოცდებისათვის კარგად მოემზადოს, დიდად დაეხმარება გაზეთი „ნერგი“.

სულ მალე იგი იწყებს ცნობილი ისტორიკოსისა და პუბლიცისტის, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის შოთა ბადრიძის სერიალის გამოქვეყნებას საერთო სათაურით „საქართველოს ისტორია, ახალი თაობისთვის მოთხრობილი“. იგი ავტორმა საგანგებოდ მოსწავლეთა გაზეთისათვის მოამზადა. სერიალი აგებულია საქართველოს ისტორიის უმაღლესში შემსვლელების პროგრამის შესაბამისად.

მაშ ასე, შემდეგი ნომრიდან (№ 33) „ნერგი“ გეპატიჟებათ თავისი გაზეთის ფურცლებზე.

ხსოვნა

არჩილ ლომინაძე

საქართველოს საინჟინრო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ცნობილი სპეციალისტი-მშენებელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი **არჩილ ზაბულონის ძე ლომინაძე.**

დაიბადა 1910 წელს, უმაღლესი განათლება მიიღო 1926-1931 წლებში პეტერბურგის ტექნიკურ აკადემიაში, რის შემდეგ თავისი პრაქტიკული საქმიანობა დაუკავშირა ჩვენს რესპუბლიკაში სამშენებლო საქმის განვითარებას. იყო ინჟინერ-მშენებელი, ინჟინერ-დამპროექტებელი, ინჟინერ-მკვლევარი და ბოლოს ინჟინერ-მშენებელთა ახალგაზრდა კადრების აღმზრდელი-პროფესორი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბატონი არჩილის მოღვაწეობის პერიოდი საქართველოს ძირითადი საპროექტო ინსტიტუტების — „საქსახპროექტის“ (1944-1965 წლები) და „თბილქალაქპროექტის“ (1965-1972) დირექტორის თანამდებობაზე. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით საქართველოს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ არაერთი მეტად მნიშვნელოვანი საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტი დაპროექტდა და აშენდა.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში იგი მოღვაწეობს 1972 წლიდან, სადაც თავისი დიდი საწარმოო და საპროექტო გამოცდილება ნაყოფიერად მოახმარა ინჟინერ-მშენებელთა ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეს.

მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში ბატონი არჩილისთვის მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად დამახასიათებელი იყო დიდი პასუხისმგებლობა და პრინციპულობა, კოლეგების მიმართ კეთილმოსურნეობა. მისი დამოკიდებულება სტუდენტი ახალგაზრდობისადმი გაცისკროვნებული იყო სიყვარულით და პატივისცემით, ეს ხელს არ უშლიდა ყოფილიყო უაღრესად მომთხოვნი როგორც მათ მიმართ, ისე საკუთარი თავისადმი.

როგორც მაღალი რანგის სპეციალისტი, იგი წევრი იყო საწარმოო, საპროექტო, სამეცნიერო ორგანიზაციების ტექნიკური საბჭოების თუ კოლეგიების.

ბატონი არჩილის მოღვაწეობა არაერთხელ აღნიშნულა მთავრობის სხვადასხვა ჯილდოთი და საპატიო წოდებით.

არჩილ ლომინაძის ცხოვრება და მოღვაწეობა კეთილ მაგალითად დარჩება ჩვენს საზოგადოებას, ხოლო მისი ხსოვნა იცოცხლებს მის კოლეგებში, თანამშრომლებში, მეგობრებსა და აღზრდილებში.

საქართველოს არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და სამშენებლო ინსტიტუტი.

მერაბ (ხვიჩა) ლომაია

საქართველოსათვის იღუპებიან ქართველი ვაჟკაცები. სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში აფხაზურ სოფელ ათარასთან გმირულად დაიღუპა თავდაცვის სამინისტროს სარაკეტო და საარტილერიო ჯარების სამმართველოს კაპიტანი მერაბ (ხვიჩა) ზურაბის ძე **ლომაია.**

ხვიჩა დაიბადა თბილისში 1968 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1982-86 წლებში სწავლობდა უმაღლეს საარტილერიო სასწავლებელში. მსახურობდა პოლონეთში, 1992 წლის სექტემბრიდან საქართველოს ეროვნული არმიის რიგებშია.

წავიდა და დატოვა დიდი სიყვარული, მოუშუშებელი ტკივილი მშობლების, მეუღლის, 4 წლის ვაჟის გიორგის, ახლობლებისა და მეგობრების გულში.

წავიდა სამარადჟამოდ და ჩვენი ერის ბედნიერ მომავალს შესწირა თავისი ახალგაზრდული სიცოცხლე.

ნათელი დასდგომოდეს ხვიჩას სულს.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორს

ნება მიბოძეთ, ბატონო რედაქტორო, თქვენი გაზეთის მეშვეობით დიდი მადლობა მოვახსენო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობას ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიის მონიჭებისათვის.

გამგეობას ვთხოვ, ჩემი საპრემიო თანხა გადარიცხოს საქართველოს თავდაცვის ფონდში.

პატივისცემით **ალექსანდრე ბარამიძე.**

ფიშერ-სპასკის მატჩი

ფიშერი უკმაყოფილოა...

მეხუთე კვირაა იუგოსლავიაში მიმდინარეობს „XX საუკუნის დიდი მატჩ-რევანში“ რ. ფიშერსა (აშშ) და ბ. სპასკის (საფრანგეთი) შორის. თხუთმეტი პარტიის შემდეგ ლიდერობს ამერიკელი დიდოსტატი — 5:3 (=7).

30 სექტემბერს ბელგრადის სავა-ცენტრის ვეებერთელა დარბაზში, რომელშიც ხუთი ათასი მაყურებელი ეტევა, დაიწყო მატჩის მეორე ნახევარი. ორთაბრძოლის ახალმა მთავარმა მსაჯმა იუგოსლავმა საერთაშორისო ოსტატმა, 66 წლის ნიკოლა კარაკლაიჩმა, რომელმაც დასავლეთგერმანელი დიდოსტატი და არბიტრი ლოტარ შმიდი შეცვალა, ჩართო საათი და დიდოსტატები მეთორმეტე პარტიის თამაშს შეუდგნენ. შეხვედრას ორი ათას ხუთასამდე გულშემატკივარი დაესწრო. მათი უმრავლესობა ტაშით შეეგება ფიშერს, მაგრამ ამ დღეს ქერამ გააწბილა ისინი.

ამ შეხვედრაში ამერიკელმა დიდოსტატმა ძველინდურ დაცვას მიმართა. ჩანს, სპასკი მოელოდა ამ რთული სადებიუტო სისტემის გამეორებას და სათანადოთაც მოემზადა. მან უფრო მარჯვედ ააწყო თამაში, ვიდრე მეხუთე პარტიაში, რომელიც წააგო. როგორც კი ჩაიკეტა ლაზიერის ფრთა, სპასკიმ გრძელი როქით იქითკენ გახსნა საკუთარი გვირგვინოსანი და მძაფრად შეუტია ფიშერის მეფის პოზიციას. ამაოდ დაშვრა ამერიკელი მოჭადრაკე. მან ფიგურის დათმობითაც სცადა თავდასხმის განელება, მაგრამ ბოლოს მაინც ხელმოცარული დარჩა.

აი, როგორ მიმდინარეობდა ეს პარტია:

ძველინდური დაცვა

ბ. სპასკი — რ. ფიშერი

30 სექტემბერი, 1992 წ.

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. e4 d6 5. f3 0-0 6. კe3 მc6 7. მge2 a6 8. h4 h5 9. მc1 e5 10. d5 მe7 11. კe2 მh7 12. მd3 f5 13. a4 მf6 14. მf2 a5 15. ლc2 c5 16. 0—0—0 b6 17. ეdg1 მh7 18. მb5 მფh8 19. g4 hg 20. fg f4 21. კd2 g5 22. hg მg6 23. ეh5 ეf7 24. ეgh1 კf8 25. ლb3 ეb8 26. ლh8 ეbb7 27. მd3 მფg8 28. მe1 ეg7 29. მf3 ეbf7 30. ეh6 ლd7 31. ლh5 ლ:g4 32. ე:g6 ლ:h5 33. ეg7+ ე:g7 34. ე:h5 კg4 35. ეh4 კ:f3 36. კ:f3 მ:g5 37. კg4 ეh7 38. ე:h7 მფ:h7 39. მფc2 კe7 40. მფd3 მფg6 41. მc7 მფf7 42. მe6 მh7 43. კh5+ მფg8 44. კe1 მf6 45. კh4 მფh7 46. კf7 მ:d5 47. cd კ:h4 48. კh5 მფh6 49. კe2 კf2 50. მფc4 კd4 51. b3 მფg6 52. მფb5 მფf6 53. მფc6 მფe7 54. მg7. ფიშერი დანებდა.

პარტიის დამთავრებისას მინიინტერვიუში ფიშერმა თქვა, რომ იგი უკმაყოფილოა თავისი თამაშით. პასიური იყო მე-15 და მე-18 სვლები, რამაც სპასკის ინიციატივის გაღვივების საშუალება მისცა.

ამ „სამუშაო კვირის“ მომდევნო სამი (მეცამეტე, მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე) პარტია ყაიმით დამთავრდა, თუმცა მეტოქეებს არ დაუკლიათ ცდა თამაშის გამწვავებისთვის. ამჯერად ფიშერმა ვერ გაიტანა თავისი. პირიქით, მაგალითად, მეცამეტე პარტიაში თავად გამოიწვია ყაიმი სვლების გამეორებით.

ცნობილი დიდოსტატების აზრით, სპასკი უფრო შემართული იყო, ვიდრე წინა დღეებში თამაშობდა ისე, როგორც ორთაბრძოლის სტარტზე. ამიტომ ფიშერს დიდი ძალისხმევა დასჭირდება მისი წინააღმდეგობის დასაძლევად.

დღეს, 7 ოქტომბერს, გაიმართება მეთექვსმეტე პარტია. თეთრებით სპასკი ითამაშებს.

* * *

შეცდომების გასწორება: მეთერთმეტე პარტიის ტექსტში (იხ. ჩვენი გაზეთის 30 სექტემბრის ნომერი) გაიპარა კორექტურული შეცდომები. უნდა იყოს: 10. d4 ed 11. კb2 d6 12. მ:d4 ლd7; 25. e6 კc6; 34. ეb7.

ნინო იმედაშვილი.

გიორგი კანდელაკი მსოფლიო ჩემპიონია

სასიხარულო ცნობა მივიღეთ კანადიდან, სადაც დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის. ქართველმა მოკრივემ, გორელმა მძიმეწონოსანმა გიორგი კანდელაკმა მონრეალის რინგზე ყველა მეტოქე დაამარცხა და მკერდი ოქროს მედლით დაიმშვენა.

აღსანიშნავია, რომ ეს საპატიო ტიტული მოპოვებული იქნა დამოუკიდებელი საქართველოს სახელით.

უნივერსიტეტელებს ბადალი არ ჰყავდათ

თბილისში, გორსა და ყვარელში ორ წრედ მიმდინარეობდა საქართველოს ჩემპიონატი ფრენბურთში.

როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის ბადალი არ ჰყავდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენებს.

ქალთა ტურნირის მეორე და მესამე პრიზიორები შესაბამისად გახდნენ გორისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ფრენბურთელები.

ვაჟთა ჩემპიონატში მეორე ადგილი წილად ხვდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს, ხოლო მესამე ადგილს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები დაეუფლნენ.

ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატი მოეწყობა მიმოსვლით „შემოდგომა-გაზაფხულის“ სისტემით.

ირანელთა მონაწილეობით

საქართველოსა და ირანის მოყვარული ვაჟთა ნაკრებმა გუნდებმა თბილისში გამართეს ამხანაგური პირადი მატჩ-ტურნირი, რომელშიც მედლების უდიდესი უმრავლესობა მასპინძლებმა მოიპოვეს.

რაპირისტთა შორის უძლიერესი იყო ვლადიმერ აფციაური. ჯემალ გამიაშვილმა ყველას აჯობა დაშნით, ხოლო ხმლით მოფარიკავეთა ბრძოლა მოიგო აკაკი მახარაძემ.

მასპინძელთა უპირატესობით

თბილისში გაიმართა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი ძიუდოში, რომელშიც ტატამის მრავალმა აღიარებულმა ოსტატმა იასპარეზა.

გუნდური გამარჯვება მასპინძლებმა მოიპოვეს. მეორე ადგილი წილად ხვდათ გორელებს, ხოლო მესამე შედეგი გარდაბნის წარმომადგენლებმა აჩვენეს.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: მერაბ ტიტუნაშვილი (გორი), გურამ მოდებაძე (თბილისი), ბათო ჯიქური (დუშეთი), სოსო ლიპარტელიანი (თბილისი), დავით ზაგაური (გორი), მევლუდ ლობჟანიძე და ზაზა დაბრუნდაშვილი (ორივე — თბილისი).

28 ნოემბერს უძლიერესი ქართველი ძიუდოისტები ტოკიოში ჩაებმებიან სპორტის ამ სახეობის ფუძემდებლის — ძიგარო კანოს ხსოვნისადმი მიძღვნილ დიდ საერთაშორისო ტურნირში.

სწორუპოვარი მონიკა

გრძელდება თანამედროვეობის №1 ჩოგბურთელი ქალის მონიკა სელეშის (იუგოსლავია) გამარჯვებათა სერია. ტოკიოს დიდი საერთაშორისო ტურნირის ფინალში მან საკმაოდ იოლად — 6:0, 6:2 დაამარცხა მსოფლიოს მესამე ჩოგანი — არგენტინელი გაბრიელა საბატინი. აღსანიშნავია, რომ ეს გახლდათ 18 წლის სელეშის 28-ე „გრან-პრი“ მისი ჯერჯერობით ხანმოკლე კარიერის მანძილზე, მათ შორის მერვე — მიმდინარე წელს. ტურნირის საპრიზო ფონდი 350 000 დოლარია.

წყვილთა შორის ყველას აჯობეს მერი-ჯო ფერნანდესმა და რობინ უაიტმა (აშშ).

გამოიწერეთ 1993 წლისთვის!

მაშინ, როდესაც ჩვენს გარშემო ყველაფერი ძვირდება და ფული უფასურდება, ხელმოწერა 1993 წლისთვის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე“ იაფდება.

დიახ, იაფდება!

წლეულს ჩვენი გაზეთი 2 მანეთად იყიდება, გაისად ხელმომწერთათვის მანეთი და 80 კაპიკი ეღირება და 1993 წლის ბოლომდე, ინფლაციის ნებისმიერი ზრდის მიუხედავად, ამ ფასს შევინარჩუნებთ.

რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო გარანტიას გვაძლევს, რომ თითოეულ ხელმომწერს დაუგვიანებლად ჩაბარდება „საქართველოს რესპუბლიკის“ ყველა ნომერი. ფოსტალიონების მომსახურებას თქვენ აფინანსებთ, პატივცემულო მკითხველებო, რადგან 80 კაპიკი, თქვენს მიერ გადახდილი მანეთის და 80 კაპიკისა, სწორედ საამისოდაა გამიზნული.

ერთადერთი ყოველდღიური

ქართული გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა

„საქართველოს რესპუბლიკაზე“ ხელმოწერა ნახევარი წლით მხოლოდ 234 მანეთი ეღირება, ერთი წლით — 468 მანეთი.

„საქართველოს რესპუბლიკის“ გაიაფება მოწყალების გაღება არ გეგონოთ, თქვენთვის ხელის შეწყობაა მხოლოდ.

თქვენც, დარწმუნებული ვართ, ხელშეწყობითვე გვიპასუხებთ — გამოიწერთ „საქართველოს რესპუბლიკას“ 1993 წლისთვის!

„საქართველოს რესპუბლიკა“ ყველაზე იაფი პერიოდული გამოცემაა.

ხელმოწერა კიდევ უფრო იაფი დაუჯდებათ იმ მკითხველებს, რომლებსაც 1992 წლის ბოლომდე გამოწერილი ჰქონდათ ჩვენი გაზეთი და დამატებითი ხელმოწერის გამოცხადების შემდეგ გადაიხადეს 5 თვის 110 მანეთი ან 4 თვის 88 მანეთი.

ეს ფული გამოაკლდება საგაისო ხელმოწერის ღირებულებას. ამისთვის საკმარისი იქნება „სოიუზპეჩატის“ იმ განყოფილებაში, სადაც 1993 წლის ხელმოწერას გააფორმებთ, წარადგინოთ 1992 წლის წლიური ხელმოწერისა და დამატებითი ხელმოწერის ქვითრები.

ბევრი არ არის, მაგრამ მაინც შეღავათია თქვენი ოჯახის ბიუჯეტისთვის, მით უფრო, რომ საცალო ვაჭრობაში გაზეთი 3 მანეთად გაიყიდება.

ჩვენ მხოლოდ ერთმანეთით და ერთმანეთისთვის ვარსებობთ, ძვირფასო მკითხველებო!

ჩვენი ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 60484